სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 29 თებერვალი 2008 №045 (3269) ფასი 50 თეთრი

ივო შუშაკმა მაღალი და დაბალი არ გაარჩია

შოთა არველაძეს მართლაც შევატყვე, რომ შეუძლია წარმატებული მწვრთნელი გახდეს...

როცა ამბობენ, ნაკრებში ჭაბუკებს გამოცდილების მისალებად ვათამაშებთო, ასე ვთქვათ, ალიბია, იმიტომ წავაგეთ, ჭაბუკები ვათამაშეთო.

კოლხიდა ტელევიზორთან კი არა, სტადიონზე გვეპატიჟება

ჩამჭრელი კითხვა უელსელისგან: საიდან იცით, რომ ცუდია, თუ არ გინახავთ?!

მედიაკომპანია „კოლხიდამ“ პირველ საფეხბურთო რეპორტაჟსა და მიმოხილვას გუშინ პრესკონფერენცია მოაყოლა, რომელზეც მთავარი სათქმელი ეს იყო: ქართული საკლუბო ფეხბურთი სულაც არ არის ისეთი, რომლის ნახვაც არ ღირს

ლექსო თოფურია და რასელ ისაკი

ჩვენი სიყვარული მათ მოყვარულებს

საქართველოს ჩემპიონატი სხვათა ისე რა ლიგებში

თუკი ვინმე სადმე გამოგვრჩა, ბოდიში.

თუმცა რაც მოვიძიეთ, საბუთად ესეც კმარა. ამ წუთისთვის 122 ქართველი ფეხბურთელი დავითვალეთ, კარგი ტრანსფერი გაჩარხაო, მილოცვა რომ გაგვიჭირდება.

ოღონდ, დავაზუსტოთ: მისალოც ტრანსფერში თუნდაც საშუალო ევროპული კლასის გუნდში მოხვედრას ვგულისხმობთ, სადაც ფეხბურთელი საკუთარ კლასსაც აიმაღლებს, თორემ, ვთქვათ, თურქეთის სამოყვარულო ლიგაში თამაში, აბა, რა მისალოცი საქმეა.

მეორე მხრივ კი, არც მთლად ასეა საქმე. როდესაც სასწორის ერთ პინაზე ქართულ ხელფასს დადებ, მეორეზე კი, თუნდაც ყაზახურს, ძალიან ძნელი ხდება ცდუნების გაძლება და გულახდილად რომ ვთქვათ, ვერც ვერავის გაამტყუნებ.

და გამოსავალი? გამოსავალი სათქმელად ადვილია — გვქონდეს მდიდარი ჩემპიონატი მდიდარი კლუბებით და მერე დავითვალოთ, რამდენ ფეხბურთელს ეჭირება საეჭვო ლიგებში გაქცევაზე თვალი.

სათქმელად ადვილიაო, ვთქვით, შენ მოხერხება თქვი...

ლადო ტატიშვილი, თათული ბართაია, რასელ ისაკი და ლექსო თოფურია

მოდით სტადიონებზე!

კოლხიდამ იმედის პრეზენტაცია მოაწყო

მედიაკომპანია „კოლხიდამ“ რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გაშუქება დაიწყო, გეცოდინებათ. გუშინ კი „მიხეილ მესხის“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში „კოლხიდას“ პრეზენტაცია მოეწყო...

დამსწრეთ პირველმა კომპანია „კოლხიდას“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ***ლექსო თოფურიამ*** მიმართა: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბოლო ყრილობაზე კომპანია „კოლხიდას“ ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩების ტრანსლაციის უფლება 20 წლით გადაეცა. ვფიქრობ, ეს ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენი მიზანია, ქართულ ფეხბურთს პოპულარიზაცია გავუწიოთ და მაღალ დონეზე გავაშუქოთ, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს ქართული ფეხბურთის განვითარებას...

...ტექნიკურ მხარეს ბრიტანული კომპანია „სპორტ მედია სერვისი“ უზრუნველჰყოფს. ამ კომპანიის წარმომადგენელი რასელ ისააკი იქნება. მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს — ამ სფეროში 1978 წლიდან საქმიანობს. მერწმუნეთ, როგორც მატჩები, ასევე ყოველკვირეული მიმოხილვები ძალიან საინტერესო სანახავი იქნება. პირველი მატჩის რეპორტაჟი და კვირის მიმოხილვა ქართველმა ქომაგმა უკვე ნახა. თანადგომისთვის მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ტელეკომპანია „მზეს“. მათ ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ. მჯერა, რომ ეს პროექტი შეძლებს ქომაგი ფეხბურთს დაუბრუნოს. ფეხბურთის ფედერაციას, პროფესიული ფეხბურთის ლიგასა და ყველას მინდა მადლობა გადავუხადო გაწეული თანადგომისთვის...

...კომპანია „კოლხიდას“ სპორტული რედაქტორი დიმა ობოლაძე იქნება, მიმოხილვის წამყვანები კი ლადო ტატიშვილი და თათული ბართაია იქნებიან. ტურის მიმოხილვებში პერმანენტული სტუმრის სტატუსით არჩილ არველაძე მიიღებს მონაწილეობას...

...14 სტადიონიდან ჯერ მხოლოდ 7-ზეა შესაძლებელი მოძრავი სატელევიზიო სადგურის მუშაობა. „ეროვნულსა“ და „მიხეილ მესხზე“ რვა კამერა მონტაჟდება, ზოგან — სამი, ზოგან კი — ერთი. მომავალი სეზონისთვის ვეცდებით, ტრანსლაციის ხარისხი გავზარდოთ...

...ვფიქრობთ, შევქმნათ სამეთვალყურეო საბჭო, სადაც დასაშვებია, რომ ნებისმიერი პროფესიის ადამიანებმა იმუშაონ. მთავარია, მათ ქართული ფეხბურთის განვითარებაზე იზრუნონ...“

„სპორტ მედია სერვისის“ წარმომადგენელი ***რასელ ისააკი*** სანამ საქმეზე გადავიდოდა, დაგვპირდა, ქართულს ვისწავლი და მომავალში თქვენს ენაზე დაგელაპარაკებითო. ისიც თქვა, უელსელი ვარ და ჩემი ფავორიტი ფეხბურთელი დევიდ ბექემი კი არა, რაიან გიგზიაო...

„ჩვენი მიზანია, სტადიონს გულშემატკივარი დავუბრუნოთ და ქართულ საკლუბო ფეხბურთს იმიჯი აღვუდგინოთ. თითქმის ორი წელია, ამ პროექტზე ვმუშაობთ. თავდაპირველად ყველას ვეკითხებოდი: როგორია ქართული ფეხბურთი? პასუხი ხშირ შემთხვევაში ერთი იყო — ცუდი. და როცა კითხვას ვუბრუნებდი, თუ დადიხართ სტადიონზე-მეთქი, უმალ მპასუხობდნენ — არაო. კი მაგრამ, მაშ, საიდან იციან, რომ არ ვარგა? ეს ზერელე დამოკიდებულებაზე მიუთითებს, რაც ძალიან ცუდია. ჩვენი პროექტი სწორედ ამ სტერეოტიპის დამსხვრევას ემსახურება — ქართული საკლუბო ფეხბურთი სულაც არ არის ისეთი, რომლის სანახავად სტადიონზე მისვლა არ ღირდეს — ჩვენ, „სპორტ მედია სერვისი“ და კომპანია „კოლხიდა“, რა თქმა უნდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან ერთად, ქართულ საკლუბო ფეხბურთს ჯერ ტელემაყურებელს დავუბრუნებთ, მერე კი, როცა გულშემატკივარი მიხვდება, რომ რასაც ტელევიზიით უყურებს, სტადიონზე უნდა ნახოს, ტრიბუნას დაუბრუნდება. ფეხბურთი ხალხის თამაშია და მინდა, ეს სტატუსი საქართველოშიც დაიბრუნოს. მინდა, რომ ხალხი ყველა ქართულ გუნდს ჰყავდეს, ნორმალურ ქვეყნებში ასეა და აქაც ასე უნდა იყოს. ჩვენ პროფესიონალთა ჯგუფი გვყავს. მჯერა, ამ ხალხის ძალისხმევით ქართული საკლუბო ფეხბურთის პოპულარობა გაიზრდება...

...ეს ხანგრძლივი პროექტია, რაც იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდებიან საფეხბურთო მატჩების პროფესიონალი ოპერატორები, კომენტატორები, რეჟისორები... ეს არა მარტო ქართულ ფეხბურთს, არამედ ქართულ ტელევიზიასაც წაადგება.“

პრეზენტაციაზე ყოველკვირეული მიმოხილვის წამყვანებმა, ლადო ტატიშვილმა და თათული ბართაიამაც თქვეს ორიოდ სიტყვა...

თათული ბართაია: „ახლახან დავამთავრე სამსახიობო. აქამდე ფეხბურთთან შეხება არ მქონია, მაგრამ ძალიან მიყვარს ქართული ფეხბურთი. მიმოხილვების გარდა ქართველ მოთამაშეებზე სხვა საინტერესო ინფორმაციებსაც მოგაწვდით. ქართველ მანდილოსნებს კი მოვუწოდებ: უქომაგონ ქართულ ფეხბურთს“.

ლადო ტატიშვილი: „სანამ ამ პროექტზე მუშაობას დავიწყებდი, სიმართლე გითხრათ, ქართულ ფეხბურთს თვალყურს არ ვადევნებდი, შემდეგ რამდენიმე მატჩი ვნახე და სიამოვნებაც მივიღე. წარმოვიდგინე იმ თამაშებზე სავსე სტადიონი და მივხვდი, როგორ სხვანაირი იქნებოდა ქართული ფეხბურთი. მივიდეთ სტადიონებზე და თავიდან ვისწავლოთ ქართული ფეხბურთის სიყვარული!“

ნუკრი ლოლაძე

პაატა დათუნაიშვილი ზაფხულამდე ვიტჯორჯიელია

რიზესფორი, ბატე და ზაკარპატიე — არ გამოვიდა



პაატა დათუნაიშვილმა „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი ზაფხულამდე გააგრძელა, რაც საკმაო შვება იქნება ვეტერინარებისთვის — ნესტორ მუმლაძის გუნდს ხომ „ზესტაფონის“ 2:1 ძლევის შემდეგ საჩემპიონო შანსმა უფრო გამოუნათა. არადა, უფროსი დათუნაიშვილს კონტრაქტი შარშან, წლის ბოლოს დაუსრულდა, კლუბის შეცვლაც გადაწყვეტილი ჰქონდა და ვიტელებს თურქულ შეკრებაზეც არ გაჰყოლია.

„გადავწყვიტე, „ვიტ ჯორჯიაში“ დავრჩენილიყავი. ამ ეტაპზე ასე მიჯობდა. შემოთავაზებები მქონდა, წასული ამბავია და გეტყვით, რომ თურქული „რიზესფორის“ ბელარუსული ბატე-ს და უკრაინული „ზაკარპატიეს“ ვარიანტები იყო. ისე, ზაფხულში შესაძლოა, სწორედ ამ სამი გუნდიდან ერთ-ერთში გადავიდე“.

რაც შეეხება საჩემპიონო შანსებს, პაატამ გვითხრა, „ვიტ ჯორჯიაში“ ჩემ დარჩენაზე იმანაც იქონია გავლენა, რომ პირველობის იმედი გაჩნდაო.

„შეკრული გუნდი გვყავს, მართალია, ჩვენგან ყოველ წელიწადს მიდის ერთი ან ორი ფეხბურთელი, მაგრამ ეს თამაშის ხარისხს და შედეგს დიდად არ ეტყობა-ხოლმე. ნიკა გელაშვილის წასვლა? ის ძალიან დიდი ძალა იყო ჩვენთვის, მაგრამ როგორმე შეცვლის ვინმე. მასე იყო ადრე, დავით დიღმელაშვილი რომ წავიდა, ბევრმა თქვა, „ვიტ ჯორჯია“ ისე ველარ ითამაშებსო, არადა, ვითამაშეთ.“

ილია ნანობაშვილი

დვალიშვილი, ბაბუნაშვილი: ორმაგი 2:1

კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა რიგის „სკონტოში“ გასინჯვაზე მყოფმა ვლადიმერ დვალიშვილმა. ლატვიელებმა 2:1 დაამარცხეს ეკატერინბურგის „ურალი“. ჩვენებური მოედანზე წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ შევიდა და მართალია, ბურთი არ გაუტანია, მაგრამ სკონტოელთა შეტევები კი გაამწვავა.

რუსეთის პირველდივიზიონელთან მეორე ქართველის, დავით გამეზარდაშვილის თამაში მწვრთნელმა საჭიროდ არ მიიჩნია.

ასევე გასინჯვაზე მყოფი შოთა ბაბუნაშვილის „დინაბურგს“ კი უკრაინული „სტალი“ შემოემარცხა — 2:1.

თამაზ პერტიამ ჩვენებური სრულად დატვირთა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტრაპატონიმ მაისი თქვა

ირლანდიის ნაკრებმა მწვრთნელის საქმე როგორც კი მოაგვარა, საქმესაც შეუდგა.

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ცნობით, „სამყურეები“ ახალი მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის ხელში პირველად მაისში შეიკრიბებიან და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევისთვის მზადებას პორტუგალიაში გაივლიან, პირველ საკონტროლო მატჩს კი 24 მაისს დუბლინში სერბების წინააღმდეგ გამართავენ.

ირლანდიელები გუშინ კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციასაც შეუთანხმდნენ და ამ ქვეყნის ნაკრებთა მატჩი 29 მაისს ლონდონში, „ფულემის“ სტადიონზე გაიმართება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ „ზესტაფონის“
მთავარ მწვრთნელ
თემურ მახარაძეს
დედის
გარდაცვალების გამო

ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი
ხეტაფე 3:1 რასინგი

ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი
ფეიენოორდი 2:1 ზვოლე

საბერძნეთი

თასი
მეოთხედფინალი
ატრომიტოსი 3:1 ოფი

ფინეთი

ლიგის თასი
III ტური
მარიეჰამნი 3:4 ლაჰტი

ამხანაგური მატჩები

მექსიკა 0:0 პარაგვაი
ოლბორგი 0:0 ოდ გრენლადნი
ჰორსენსი 0:0 ცსკა (მ)
ფრედრიკსტადი 1:0 ლინი
სტარტი 1:1 ბრინი
ვოლერენგა 1:0 ალესუნდი

იმედია, საქართველოში სამუშაოდაც ჩამოვალ

ივო შუშაკი საქართველოს ნაკრების ის ერთადერთი მწვრთნელია, მასზე აუგი რომ არავის დასცდენია და კრიტიკოსები თითქმის არც ჰყოლია. მართალია, ის მხოლოდ ორ მატჩში გაუძღვა ჩვენს ეროვნულ გუნდს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ხოლო შუშაკის ნაკრების მიერ რუსთა ძლევა დღემდე ჩვენთვის საამაყო მოგონებაა. ივო შუშაკი გუშინ შეგვხვდა რამდენიმე ჟურნალისტს, თბილისში კი სამწუხარო ამბის გამო, ბადრი პატარკაციშვილის დაკრძალვაზე ჩამოვიდა. გეხსომებათ, თავის დროზე ხორვატი სპეციალისტი პატარკაციშვილის „დინამოსაც“ წვრთნიდა და საქართველოს ჩემპიონის მიერ „თანამეგობრობის თასის“ ერთადერთხელ მოგებაც შუშაკის სახელს უკავშირდება. ისიც გვახსენდება, ამ რამდენიმე წლის წინ ალექსანდრე ჩივაძის იუბილეზე ჩამოსულ შუშაკს ქართველი მეგობრის, გივი ნოდიას გარდაცვალების ამბავი რომ დახვდა... საერთოდ კი, ივო შუშაკი საქართველოს არცთუ იშვიათი სტუმარია. რატომაც არა, საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევს და აქაურ მეგობრებს ხშირად ინახულებს ხოლმე. გუშინ კი, როგორც გითხარით, სამწუხარო ამბის გამო მოუხდა ჩამოსვლა...



ბადრი კეთილაძის ფოტო

— საქართველოში აქამდე სულ სიხარულით ჩამოვდიოდი, თუმცა ახლა სამწუხარო მიზეზით მომიხდა ჩამოსვლა — ჩამოვედი მეგობრის, ჩემი ყოფილი კლუბის პრეზიდენტისა და უბრალოდ კარგი ადამიანის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად. „დინამოში“ მუშაობის დაწყების დღიდან ბადრი პატარკაციშვილთან მართლაც განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. მისი დამსახურებაა, რომ „დინამო“ ჩემი მწვრთნელობის პერიოდში წარმატებებს მიაღწია — მოიგო საქართველოს ჩემპიონატი და თასი, თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირი... ბატონი ბადრის დამსახურებაა ისიც, რომ ორი მატჩით საქართველოს ნაკრებს ვუხელმძღვანელე და იმ ორი თამაშიდან ერთი საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობისა იყო — ჩვენ რუსეთის ნაკრები დავამარცხეთ. ვწუხვარ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებ მის ოჯახსა და ახლობლებს. ეს ჩემთვის მართლაც დიდი ტრაგედიაა. გუშინ ჩემს მეუღლეს 60 წლის იუბილე ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, არ შემეძლო, არ ჩამოვსულიყავი. იმედი მაქვს, დღეის შემდეგ ჩემს მეორე სამშობლოში, საქართველოში, ასეთი მიზეზით ჩამოსვლა აღარ მომიწევს — გვითხრა გუშინ საქართველოზე შეყვარებულმა ხორვატმა.

— თქვენ როგორ ხართ, ამჟამად რას საქმიანობთ?

— კარგად ვარ, თუმცა ეს ამბავი რომ შევიტყვე, გული საოცრად მეტკინა. სამწვრთნელო საქმიანობისგან ჯერჯერობით ვისვენებ, ხორვატიაში მწვრთნელთა სკოლაში ლექციებს ვკითხულობ. ჩვენმა სკოლამ უეფასგან პრო-ლიცენზიის გაცემის უფლება მიიღო და საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება. ამას წინათ ზაგრებში ლექციების წასაკითხად მარჩელო ლიპი და ალექს ფერგიუსონი იყვნენ ჩამოსულნი. ცნობილი ფეხბურთელებიდან კი ჩვენს სკოლაში დადო პრსო სწავლობს.

— აღარ აპირებთ, მწვრთნელობა გააგრძელოთ? „ოსიეკის“ შემდეგ, თუ არ ვცდებით, არც ერთი კლუბი ჩაგიბარებიათ...

— დიახ, „ოსიეკის“ შემდეგ გუნდში აღარ მიმუშავია, ვისვენებდი. ახლა კი, ვფიქრობ, უკვე საკმარისია, დავისვენე და ნამდვილად ვიცი, რომ ახალი სეზონიდან რომელიმე გუნდში ვიმუშავებ.

— რაკი ასე ამბობთ, ალბათ კონკრეტული წინადადებაც გაქვთ...

— ამ საკითხზე ჩემი აგენტი მუშაობს და, როგორც ვიცი, ჩემთვის რამდენიმე საინტერესო წინადადებაც აქვს. კონკრეტულად ჯერ არაფერი უთქვამს. ისე კი, უცხოეთში მუშაობით უფრო ვარ დაინტერესებული. ჩემი მომავალი გუნდის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული უნდა იყოს და თან დიდი ამბიციები ჰქონდეს.

— საქართველოდან ბოლო დროს არავინ დაგკავშირებიათ?

— მეგობრებს თუ გულისხმობთ, მათ კვირაში ორ-სამჯერ ვესაუბრები ხოლმე. ქართული კლუბებიდან კი წინადადება არ მიმიღია... თუმცა, როგორც ადრეც ხშირად მითქვამს, იმედი მაქვს, საქართველოში მუშაობის საშუალება კიდევ მექნება.

— ხორვატიის ნაკრების წარმატებით გახარებული იქნებით — გუნდმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა...

— ცხადია, ეს წარმატებაა და ერთიორად სასიამოვნოა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გუნდი ჩემმა ყოფილმა შეგირდმა სლავენ ბილიჩმა გაიყვანა. თავის დროზე, როცა ის ახალგაზრდული გუნდის თავკაცად ინიშნებოდა, მე მას მივემხრე. შემდეგ კი ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტზეც მისი მხარდამჭერი ვიყავი. ბილიჩი, როგორც ფეხბურთელი, ბევრით არაფრით იყო გამორჩეული, თუმცა ძალიან შრომისმოყვარე და მონდომებულია სამწვრთნელო საქმიანობისას. მას მართლაც კარგი გუნდი ჰყავს. ეროვნულში ის ფეხბურთელები დააწინაურა, რომლებიც ახალგაზრდულშიც ჰყავდა — რაკიტიჩი, ჩორლუკა, კრანჩარი და სილვა. ესენი და მათი სხვა თანატოლები ახლა კარგ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ. მომავალში კი ალბათ მეტსაც მიაღწევენ...

— თქვენ ალბათ მისი ხელფასიც იცით...

— იცით, როცა ბილიჩი ხორვატიის ეროვნული გუნდის მწვრთნელობის კანდიდატი იყო, მას არანაირი მოთხოვნები არ წამოუყენებია, მხოლოდ ის ითხოვა, რომ თანაშემწეებს თავად შეარჩევდა და მის საქმეში არავინ ჩარეულიყო. მისი ხელფასი 6 ათასი ევრო იყო, თუმცა ახლა, როცა ასეთ წარმატებას მიაღწია, დარწმუნებული ვარ, მას ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ სხვა მოთხოვნები ექნება და ეს სწორიც იქნება, რადგან ბილიჩს უკვე ბევრი სახელოვანი ევროპული კლუბი ეპატიჟება.

— ზოგადად, ნაკრებში ჭაბუკი ფეხბურთელების თამაშზე რას იტყვით?

— როცა ნაკრებზეა ლაპარაკი, იქ ახალგაზრდა და ვეტერანი, მაღალი და დაბალი, გასარჩევი აღარ უნდა იყოს. ამა თუ იმ ეტაპზე ვინც უფრო ძლიერია, მან უნდა ითამაშოს. ფეხბურთს კარგი და ნაკლებად კარგი ფეხბურთელები თამაშობენ. ვფიქრობ, რომ ერთბაშად რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელის ნაკრებში ერთად თამაში თავად ფეხბურთელებისთვისაც არ იქნება კარგი. რამდენიმე ჭაბუკის ერთად თამაშს კლუბშიც კი უნდა მოერიდო — ისინი განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ. ხოლო როცა ამბობენ, ნაკრებში ჭაბუკებს გამოცდილების მისაღებად ვათამაშებთო, ასე ვთქვათ, ალიბია, იმიტომ წავაგეთ, ჭაბუკები ვათამაშეთო.

— საქართველოში რამდენიმე წელიწადი იმუშავეთ. თქვენი ყოფილი შეგირდებიდან რომელზე შეგიძლიათ თქვათ, რომ მწვრთნელი იქნება. ვის უფრო ატყობთ მწვრთნელობის ნიჭს?

— შოთა არველაძეს. ის ეონივრულად თამაშობს და ვფიქრობ, სამწვრთნელო კარიერაც წარმატებული გამოუვა. მართალია, ფეხბურთელისა და მწვრთნელის ნიჭი სხვადასხვაა, მაგრამ შოთას მართლაც შევატყვე, რომ შეუძლია წარმატებული მწვრთნელი გახდეს.

...ივო შუშაკთან კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ, ითქვა მწვრთნელობა სკოლაზე, მწვრთნელის თვისებებზე ზოგადად ფეხბურთზე... ერთი ისიც ვკითხეთ, მართალია თუ არა, თითქოს მიროსლავ ბლაჟევიჩი კოსოვოში მუშაობას აპირებსო და, ბისგან ბლაჟევიჩის კარიერის საინტერესო დეტალების გახსენების გარდა, ისიც მოვისმინეთ, კოსოველ სერბეთის ნაწილად მიმაჩნიაო. კოსოვოსა და ყოფილი იუგოსლავიის ხსენებაზე კი ჩერნოგორიაზეც გამოვაგდეთ სიტყვა — საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეზე.

— სავიჩევიჩი, მიატოვიჩი... ესენი და კიდევ სხვა კარგი და ევროპული დონის ფეხბურთელები ჩერნოგორიელები არიან. იუგოსლავიის ნაკრებში ბოლო დროსაც, როცა სერბეთი და ჩერნოგორია ერთი გუნდით თამაშობდნენ, ხუთი-უქმესი ფეხბურთელი სწორედ ჩერნოგორიელი იყო. მათ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, გონიერები და აგრესიულები არიან. თუმცა ვფიქრობ, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელებით საქართველო ჩერნოგორიას აღემატება. სხვათა შორის, ჩერნოგორიის ნაკრების მწვრთნელი ზორან ფილიპოვიჩი სერბია.

აი, ასეთი კაცია ხორვატი ივო შუშაკი, ვინც ჩვენთან შეხვედრის შემდეგ ყოფილ რიტუალების სასახლეს მიაშურა და თავისი წილი პატივი მიაგო თავის ყოფილი კლუბის პრეზიდენტსა და მეგობარს...

ძოწა ინასარიძე

დავაბრუნოთ ფეხბურთელები, რათა დავიბრუნოთ ფეხბურთი!



ჯერჯერობით ლეგიონერთა საქართველოში დაბრუნება, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია

საქართველო ალბათ ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც ფეხბურთელების გადინების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან მაღალია. საკითხავი მხოლოდ ის არის, სად და რა დონის საფეხბურთო ქვეყნებში ხდება ქართველი ფეხბურთელების მიგრაცია.

ცხადია, სასიამოვნოა, როდესაც ქართველი ინგლისის, იტალიის, გერმანიის ან სხვა მაღალი დონის ევროპულ ქვეყანაში თამაშობს, მაგრამ გაცილებით მეტნი მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც საქართველოზე დაბალი დონის საფეხბურთო ქვეყნებში მიდიან. პირველ რიგში, ეს პოსტსაბჭოურ ქვეყნებზე ითქმის. აქ არ გვაქვს საუბარი რუსეთსა და უკრაინაზე, რომელთა ჩემპიონატები უკვე უტოლდება საშუალო ევროპული ქვეყნების პირველობებს...

ლიტვა, ლატვია, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი... ამათ დავუმატოთ იმავ უკრაინაში მუდმივად უთამაშებლად მყოფი, რუსეთის პირველ ლიგასა და ევროპაში უგზო-უკვლოდ მიმოფანტული ქართველები და ასეულობით ფეხბურთელს მივიღებთ.

მიზეზი?

პასუხი ძალიან მარტივია: ფეხბურთელები მიდიან იქ, სადაც მეტი შემოსავალი ექნებათ. იმავ ყაზახურ თუ აზერბაიჯანულ ფეხბურთში სერიოზული ინვესტიციები ჩაიდო და იქაური, თუნდაც ერთი კლუბის წლიური ბიუჯეტი ლამის იმაზე დიდია, მთელი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესლიგელი კლუბებისა ერთად რომ ავიღოთ.

იგივე სიტუაციაა ბალტიისპირეთშიც, სადაც ფეხბურთმა პოპულარობით უკვე გაუსწრო იქ უფრო მიღებულ ჰოკეის თუ კალათბურთს.

საქართველოდან ფეხბურთელების გადინება კი უკუპროპორციულად აისახება ეროვნული ჩემპიონატის დონეზე.

მაყურებელთა დასწრებას და ქომაგის გულაცრუებას რომ თავი დავანებოთ, ყაზახეთისა თუ სხვა არასაფეხბურთო ტრადიციების ქვეყნების კლუბები უკვე უმოწყალოდ გვიგებენ ევროტურნირებზე.

ცოტა არ იყოს, რთულია იმ ფეხბურთელების ზუსტი რაოდენობის დასახელება, ვინც საქართველოს გარეთ თამაშობს, მაგრამ მარტივად შეიძლება იმის გამოთვლა, რომ ლეგიონერებით თავისუფლად შეიძლება 5-6 ისეთი გუნდის შექმნა, რომელთაც საქართველოს ჩემპიონატში ხუთეულისთვის შეეძლებათ ბრძოლა.

და რა მოხდება მაშინ, თუ მათ სინთეზს მივიღებთ?

პასუხი აქაც მარტივი ჩანს: გაცილებით მოიმატებს ეროვნული ჩემპიონატის დონე და ამის შემდეგ გაცილებით უფრო ბრძოლისუნარიანი გუნდები გვეყოლება ევროსარბიელზე. ეს კი პირდაპირპროპორციულად იმოქმედებს, არამარტო ქართული კლუბების წარმატებაზე, არამედ საქართველოს ნაკრებზეც, რომელსაც ყველა შემთხვევაში მყარი ბაზა უნდა ჰქონდეს ეროვნული ჩემპიონატის სახით.

და ყველაფერი ასე რომ მოხდეს, საჭიროა ისეთივე მიდგომა და ხელშეწყობა ფეხბურთისადმი, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება. მოკლედ, სახელმწიფოს როლი შეუფასებელიც კი არის და იმედია, ცოტა ხანში წერა წასულებზე კი არა, ჩამოსულებზე მოგვიწევს...

მიხეილ ჟორჟოლიანი

__აზერბაიჯანი__ (17): გიორგი ადამია, ამირან მუჯირი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, დავით ბოლქვაძე, კახა ჩხეტიანი, თორნიკე აფციაური, გიორგი გაბიდაური, ბორის გონჩაროვი, ვაჟა ლომაშვილი, ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, ირაკლი ბერაია, გოგა ბერაია, გოჩა ტრაპაიძე, ალექსანდრე ინწკირველი, რომან ახალკაცი, ვლადიმერ უგრეხელიძე;

__სომხეთი__ (5): გაგა თიბილაშვილი, გიორგი სულაბერიძე, გიორგი ხუციშვილი, ლევან აკობია, თენგიზ უგრეხელიძე;

გასინჯვაზე (5): ვიტალი დარასელია, მიხეილ ბობოხიძე, დავით ხანიშვილი, მანუჩარ კვიციანი, მამუკა მენთესაშვილი;

__ლატვია__ (4): ზურაბ მენთეშაშვილი, ზაალ ელიავა, დავით გამეზარდაშვილი, ბაქარ გიორგაძე;

გასინჯვაზე (2): ვლადიმერ დვალიშვილი, შოთა ბაბუნაშვილი;

__ბელარუსი__ (3): რომან გოგინაშვილი, გია თოდუა, დავით ჭილაძე;

გასინჯვაზე (1): გიორგი ჭედია;

__ლიტვა__ (6): გივი კვარაცხელია, ნუკრი მანჩხავა, აკაკი ხუბუტია, სულიკო კაკაბაძე, ბესიკ ჭილაძე, გიორგი ფურცელაძე;

გასინჯვაზე (1): ზურაბ ხურციძე;

__მოლდოვა__ (5): ვაჟა თარხნიშვილი, ვალტერ ხორგუაშვილი, პაულე ხორგუაშვილი, მამუკა ლომიძე, ჯაბა დვალი;

გასინჯვაზე (1): ლევან კორღალიძე;

__რუსეთი__ (პირველი დივიზიონი, 13): მიხეილ აშვეთია, ვალერი აბრამიძე, გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი, გიორგი ნავალოვსკი, რევაზ ბარაბაძე, რევაზ ჯიქია, გიორგი ჭელიძე, პაატა ჯინჭარაძე, დავით ხმელიძე, ვლადიმერ ჩიტაია, გედევან დარასელია, ლევან მიქაძე;

__უკრაინა__ (6): ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი, გიორგი ციმაკურიძე, კახა მჟავანაძე, ვასილ გიგიაძე, ირაკლი მოდებაძე;

__ყაზახეთი__ (6): ლევან მელქაძე, ლაშა ნოზაძე, ზვიად ჯელაძე, გიზო ჯელაძე, ლაშა ჭელიძე, ზურაბ არჩვაძე;

__კვიპროსი__ (4): კლიმენტი წიტაიშვილი, ლევან ქებაძე, ლევან მღრაძე, კონსტანტინე დარსანია;

__პოლონეთი__ (5): მამია ჯიქია, ლავრენტი გაგუა, გიორგი კრძევაძე, ვლადისლავ ადამსკი, შალვა გოდერძიშვილი;

__საფრანგეთი__ (მეოთხე დივიზიონი, 1): ალექსანდრე გურული;

__შვედეთი__ (მეოთხე დივიზიონი, 3): ირაკლი სირბილაძე, რამაზ სვანაძე, ლაშა კირვალიძე;

__ფინეთი__ (1): ლაშა ჩხაიძე;

__ირანი__ (3): ჯაბა მუჯირი, აქსენტი გილაური, გიორგი მანწკავა;

__ისრაელი__ (პირველი ლიგა, 1): კოკა მიკუჩაძე;

__საბერძნეთი__ (მეორე ლიგა, 3): ლევან ქომეთიანი, კახაბერ სვანიძე, დავით კასპელაშვილი;

__გერმანია__ (ობერლიგა, 7): დიმიტრი აბაზაძე, დავით ბახტაძე, მელორ ბიგვავა, ირაკლი გემეზაშვილი, ვლადიმერ ლუდუშური, მიხეილ საჯაია, ხვიჩა შუბითიძე;

__ავსტრია__ (მეორე ბუნდესლიგა, 1): მირზა ბჟალავა;

__თურქეთი__ (სამოყვარულო ლიგა, 18): დავით დათვაძე, დავით ბაქრაძე, ზაზა ზირაქიშვილი, ავთანდილ ლაბაძე, რევაზ კვერნაძე, დავით მაღლაფერიძე, დიმიტრი დიდმარხვაშვილი, ვიტალი დარჩიძე, კახა ქაცარავა, კახა ვასაძე, ირაკლი ბახტაძე, დავით დოლიძე, აკაკი ნოზაძე, დავით ბობოხიძე, დავით გაჩეჩილაძე, დავით თავაძე, ალექსანდრე ნიკურაძე, მირიან გულბანი.

სულ: 122 ფეხბურთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი კახა ალადაშვილი კიევის „დინამომ" „ხარკოვში" რომ გაანათხოვრა, ძველი ამბავია. ალადაშვილი კარგად მოერგო ახალ გუნდს და ხარკოველებიც მისით კმაყოფილნი არიან. „ხარკოვის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ქართველ ახალწვეულთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რასაც აქვე გთავაზობთ...

კახა ალადაშვილი: ხარკოვი მომწონს

— უკრაინის ჩემპიონატზე რა აზრის ხარ?

— ჩემი აზრით, უკრაინელებს უკვე ევროპული დონის ჩემპიონატი გაქვთ. თუ კიევის „დინამოსა" და დონეცკის „შახტარის" დონის გუნდების რაოდენობა მოიმატებს, წინსვლა კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება.

— ხარკოვს თუ შეეჩვიე?

— ორი თვეა, აქ ვიმყოფები, ასე რომ, უკვე ყველაფერი რიგზეა. გუნდშიც კარგი ბიჭები დამხვდნენ, რომლებთან ერთადაც მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეიძლება.

— თურქულ შეკრებაზე გუნდის საგოლე კომბინაციათა უმეტესობის წამომწყები შენ იყავი...

— საგოლე პასებს ყველა გუნდში მრავლად ვაკეთებდი, გოლების მხრივ კი ცოტა მოვიკოჭლებ. იმედი მაქვს, შეკრებაზე დაწყებული წარმატებული სერია უკრაინის ჩემპიონატშიც გაგრძელდება.

— ზამთრის პერიოდში „ხარკოვის" გარდა სხვა გუნდები თუ შეგეხმიანენ?

— რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა გუნდები მეპატიჟებოდნენ, თუმცა ყველას „ხარკოვი" ვარჩიე. მწვრთნელ ვლადიმირ ბესონოვს ბოლომდე ვენდობი. აქ იჯარის წესით ნახევარი წელი უნდა გავატარო და სამომავლოდ დარჩენის წინააღმდეგიც არ ვიქნები.

— „ხარკოვის" გულშემატკივრებს რას ჰპირდები?

— იმ შემადგენლობით, რომელიც ახლა შეიკრიბა, წარმატებებზე ფიქრი ნამდვილად შეიძლება. იმედია, გაზაფხულზე ბევრ სენსაციას მოვახდენთ.

ვასილ გიგიაძე სამმა ბრაზილიელმა გადასწონა

დღეს უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე იწყება და ქართველ თავდამსხმელ ვასილ გიგიაძის ბედი ჯერაც გაურკვეველია.

კრივოი როგის „კრივბასთან" კონტრაქტით დაკავშირებული ქართველი ფეხბურთელი პირველ წრეში ახტირსკის „ნეფტიანიკში" თამაშობდა, თუმც ეს იყო უცუდესი პერიოდი მის კარიერაში — ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლო.

გიგიაძის გადაბირება ლუგანსკის „ზარიას" სურდა, მაგრამ ეს საქმე საბოლოოდ დაიხურა.

ამის თაობაზე ლუგანსკელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა განაცხადა: „საკმაო ხანს ვაწარმოებდით მოლაპარაკებას კრივოიროგელებთან, თავად ფეხბურთელსაც სურდა ჩვენთან გადმოსვლა, მაგრამ „კრივბასმა" ძალიან დიდი თანხა მოითხოვა. ამ ფასად ახლავე ვიყიდით სამ ბრაზილიელ ფეხბურთელს".

მიხეილ ჟორჟოლიანი

საუკეთესო კორღალიძე და გოლიანი დვალი

მოლდოვური „დაჩია" აგრძელებს საკონტროლო მატჩების სერიას.

ლევან კორღალიძისა და ჯაბა დვალის გუნდმა ამჯერად მოლდავური „პოლიტეხნიკა" დაამარცხა — 2:0.

კორღალიძემ სრულად ითამაშა, დვალი კი მეორე ტაიმში შევიდა, თუმც მატჩის ნახევარიც ეყო გოლის გასატანად — ჩვენებურმა საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

მოლდოვური სააგენტოების ცნობით კი, კორღალიძე საუკეთესო იყო მოედანზე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ადამიანმა ქართველები პრეზიდენტს გადააბარა

სომხურ „მიკაში" ვიტალი დარასელია და მიხეილ ბობოხიძე რომ არიან გასინჯვაზე, ადრეც ვწერდით. მათთან ერთად რატი ალექსიძეც იყო ერევანში, თუმცა უკან გამობრუნდა, დარასელია-ბობოხიძეს კი მწვრთნელი კარგი თვალით უყურებს.

„ქართველი ფეხბურთელები გარკვეული პირობების შესრულებას ითხოვენ და თუ კლუბის ხელმძღვანელობა მათ დააკმაყოფილებს, გუნდში დარჩებიან" — განაცხადა „მიკას" თავკაცმა არმენ ადამიანმა.

კახა შალამბერიძე

ჯეფრი ვან ასი

უცნაური, მაგრამ მაგარი

ჯეფრი ვან ასი ჰოლანდიელი ფეხბურთელი გახლავთ, თავის დროზე „ბრედაში“ გამოდიოდა, ახლა კი ინგლისში გაახსენდათ. რატომ? იმიტომ, რომ გასულ შაბათს „ჩელსის“ ვარჯიშზე სკანდალი მოხდა, ლონდონელთა გუნდის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატემ კაპიტან ჯონ ტერისთან იჩხუბა, ვან ასი კი ის კაცია, ვისთვისაც ტენ კატეს ჩხუბი უცხო ხილი არ არის. ერთი სიტყვით, ტენ კატე მაჩხუბარა კაცია და ეს რომ მართლა ასეა, ინგლისელმა ჟურნალისტებმა „ბრედას“ ყოფილ ფეხბურთელთან გასაუბრებით დაამტკიცეს.

კერძოდ, ვან ასის ამბავი ასე იყო: 2000 წლამდე ის „ბრედას“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ითვლებოდა, 2000 წელს კი ამ ჰოლანდიურ გუნდში ჰენკ ტენ კატე მივიდა და...

„ტენ კატე ის კაცია, რომელიც სულ ჩხუბს ეძებს — უამბო ჟურნალისტებს ვან ასმა — ის უცნაური ადამიანია. რომ დარწმუნდეს, ჩემი ნათქვამი სრულდებაო, ფეხბურთელების დაშინებას ცდილობს. გუნდში მარტივი პრინციპით მოქმედებს — ან ისე გააკეთებ, როგორც მე მინდა, ან წახვალ. ამას აკეთებდა „ბრედაში“, „აიაქსში“, „ბარსელონაში“ და ახლა „ჩელსიში“ ცდილობს იგივეს გამეორებას.

საერთოდ ასეა, შვიდი წლის ბავშვების დატუქსვა უფრო იოლია, ვიდრე დაბალი კლასის ფეხბურთელებისა. ამ უკანასკნელთა ბავშვების დატუქსვაზე ძნელია, მაგრამ არცთუ რთული, ხოლო დიდ ფეხბურთელებთან ეს ყველაფერი ყვირილში გადადის. მოკლედ, რაც უფრო დიდი ფიგურაა ის, ვისაც ტენ კატე ეჩხუბება, მით უფრო დიდია ხმაური. ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც ტერი, დროგბა ან ბალაკი არიან, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი შეხედულება აქვთ, რადგან მაღალ დონეზე უთამაშიათ და გაუმარჯვიათ კიდეც, მაგრამ დამოუკიდებელი შეხედულება სწორედ ის არის, რასაც ტენ კატე ვერ ეგუება“.

ცნობილია, რომ როდესაც ტენ კატე „ბარსელონაში“ ფრანკ რაიკარდის ასისტენტად მუშაობდა, რონალდინიოსა და ჰენრიკ ლარსონთან ჰქონდა უსიამოვნება.

„ბარსას“ ფრანგი ნახევარმცველი ლუდოვიკ ჟიული:

„როდესაც ის კატალონიიდან წავიდა, ჩვენ პრობლემის წინაშე დავდექით. კერძოდ, აშკარა იყო, რომ ჩვენ დაგვაკლდა გემრიელი შეხურება მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი იყო. დიახ, მართალია, ტენ კატე მძვინვარე კაცია, მაგრამ მის მძვინვარებაში მეთოდის დანახვაც კი შეიძლება“.

და ისევ ვან ასი: „მან მითხრა, რომ როგორც ფეხბურთელი არ მოვწონდი და ჩემი გაშვება უნდოდა. ერთხელაც, როდესაც დავშავდი, ტენ კატემ ჩემს ამპლუაში სხვა ათამაშა და მას მერე შემადგენლობას აღარც მივკარებივარ, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვა: ნებისმიერი გუნდი მისი წასვლის შემდეგ უარესად თამაშობდა, ვიდრე მისი იქ ყოფნის დროს. ის ძალიან უცნაური კაცია, მაგრამ როგორც მწვრთნელი დიდებული გახლავთ“.

პაპუნა კედია

მოდი გავხდეთ მილიონერები



მოსკოვის Ritz Carlton Hotel

რომან აბრამოვიჩმა ავრაამ გრანტს ცხოვრება კიდევ უფრო გაურთულაო, წერენ ინგლისური გაზეთები. რას გულისხმობენ? იმას, რომ რუსმა ოლიგარქმა თავისი გუნდის, ლონდონის „ჩელსის“ მწვრთნელს მაისში, მოსკოვში დანიშნულ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა დაიქ გამარჯვება მოსთხოვა.

როგორი დავალებაა?

მეორე მხრივ კი, წარმოგიდგენიათ, ჩუკოტკის გუბერნატორისთვის რუსეთის დედაქალაქში ყველაზე პრესტიჟული ევროპული ჯილდოს მოპოვება რას ნიშნავს?

ერთი სიტყვით, როგორც გაირკვა, აბრამოვიჩმა სამაისოდ მოსკოვის ერთ-ერთ უმდიდრეს სატუმროში ყველაზე ძვირი ნომრები უკვე დაჯავშნა — დაგვეთანხმებით, ასეთი საქციელი მწვრთნელზე აშკარა ზეწოლაა.

ერთი წუთით გავიხსენოთ, რა სტადიაზეა სადღეისოდ „ჩელსი“ და ისევ მოსკოვში დავბრუნდეთ: ლონდონელებმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასასვლელად შინ უნდა დაამარცხონ „ოლიმპიაკოსი“. მოსკოვში კი Ritz Carlton Hotel-ის მავანმა თანამშრომელმა ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა:

„როგორც გავიგეთ, აბრამოვიჩს მაისში, რამდენიმე დღით მთელი სართული უქირავებია“.

ცნობისათვის: ხსენებულ სასტუმროში აპარტამენტი ღამეში 5 ათასი გირვანქაც კი ღირს. სურათის სრულად დახასიათებისთვის კი საკმარისია ითქვას, რომ Ritz Carlton Hotel-ის რესტორანში კვირაში ორჯერ თევზი ტოკიოს ცუკიჯის თევზის ბაზრიდან ჩამოაქვთ. ამავე სასტუმროშია მოსკოვის საუკეთესო გოლფ-კლუბ-ბარი და ბევრი ისეთი რამ, რაც, რომ ჩამოვთვალოთ, ჯერ ერთი, შორს წაგვიყვანს და მეორე, ბევრი რამ, ჩვენი არ იყოს, ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის უცხო და გაუგებარი იქნება — სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ ვართ მილიონერები, იმ „რაღაცრუდაცებს“ რომ გავეცნოთ.

პაპუნა კედია

საგონებელში ჩავარდნილი ავრაამ გრანტი

ITALIA
სერია A
XXV ტური

კატანია 1:1 მილანი

0:1 პატო (55), 1:1 სპინეზი (63)

კატანია: პოლიტო, სილვესტრე, სილვესტრი, სტოვინი, სარდო (სპინეზი 59), ბაიოკო, ედუსეი, კოლუჩი, ვარგასი, მასკარა, მარტინესი (ალვარესი 84)

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

მილანი: კალაჩი, კაფუ (ოდო 67), ბონერა, მალდინი, ფავალი, ბროკი (გატუზო 79), ემერსონი, ამბროზინი, ზეედორფი, პატო, ფ. ინძაგი (ჯილარდინო 77)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: სტოვინი, ფავალი, კოლუჩი, ბაიოკო, ბროკი, გატუზო, კაფუ, სილვესტრი

მსაჯი: დე მარკო

21 000 მაყურებელი

ინტერი 1:1 რომა

0:1 ტოტი (38), 1:1 ძანეტი (88)

ინტერი: ფულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, კივუ, მაქსველი, ხ. ძანეტი, კამბიასო (ბალოტელი 57), ვიეირა, სტანკოვიჩი (სუაზო 46), ფიგუ (პელე 64), კრესპო

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

რომა: ა. დონი, კასეტი, მექსეში, ფერარი, ტონეტო, დ. პიზარო (აკვილანი 60), დე როსი, ტადეი (ფუანი 86), პეროტა, ვუჩინიჩი (ფიული 77), ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ბურდისო, ტადეი, მექსეში, ბალოტელი, მექსეში, პეროტა

გაძევება: მექსეში (83)

მსაჯი: როზეტი

48 717 მაყურებელი

ფიორენტინა 1:0 ლივორნო

1:0 პაპა ვაიგო (58)

ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, დონადელი, ლივერანი (მონტოლივო 46), კუმანინოვიჩი, სემიოლი (პაპა ვაიგო 37), პაციინი, ოსვალდო (იორგენსენი 73)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

ლივორნო: ამელია, გრანდონი, კნეევიცი, გალანტე, პულეტეტი, ვიდიგალი, ლოვიზო, ა. ფილიპინი (ტრისტანი 65), პასკუალე (ბალერი 45), დიამანტი (ვალატი 88), ბოგდანი

მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე

გაფრთხილება: კუმანოვიჩი, პაციინი, დონადელი, პასკუალე, პაპა ვაიგო

მსაჯი: გავა

23 000 მაყურებელი

ატალანტა 4:1 სამპდორია

0:1 ვოლპი (3), 1:1, 2:1 დონი (13, 31), 3:1 ფლოკარი (36), 4:1 კაპელი (53)

ატალანტა: კოპოლა, რივალტა, პელეგრინო, კაპელი, მანფრედინი, ფერეირა პინტუ, ტისონე, გუარენტე (დე აშანტისი 77), ლანჯელა (პადოინი 57), კ. დონი (პაოლუჩი 80), ფლოკარი

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

სამპდორია: კასტელაცი, კამპანიარო (მილიონიკო 18), გასტალდელო, ლუკინი, კ. ძენონი, მაჯო (კალუ 73), ვოლპი, დელვეკიო, ციგლერი (პიერი 54), სამარკო, ბონაკოლი

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: ციგლერი, რივალტა, ძენონი, გასტალდელო

მსაჯი: ჩამპი

13 500 მაყურებელი

ჯენოა 2:0 ნაპოლი

1:0 სკული (41), 2:0 ბორიელო (75პ)

ჯენოა: სკარპი, ბოვო, სანტონი (დე როზა 54), კრიშიტო, კონკო, პარო (იურიჩი 19), მილანეტო, ფაბიანო (ა. ლუკარელი 71), სკული, ბორიელო, ლეონი

მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი

ნაპოლი: ჯანელო, გრავა, დომიციი, კონტინი, მანინი, ბლაზი, გარგანო (ლავეცი 50), ჰამშიკი (ბოლიაჩინო 46), სავინი, კალაიო, სოსა (მონტერვინო 71)

მწვრთნელი: ედუარდო რეხა

გაფრთხილება: კონტინი, კონკო, გრავა, კალაიო, სავინი, მანინი

გაძევება: დომიციი (73)

მსაჯი: ჯერვაზონი

30 000 მაყურებელი

ლაციო 1:0 რეჯინა

1:0 ბიანკი (45პ)

ლაციო: ბალოტა, დე სილვესტრი, სივილია, კრიბარი, რადუ, დაბო (მუდინგაი 60), ლედესმა, მანფრედინი, მეგნი (მაური 57), პანდევი, ბიანკი (როკი 75)

მწვრთნელი: დელიო როსი

რეჯინა: კამპანიოლო, ჩირილო, ვალდესი, არონიკა, ალვარესი (ბარეტო 46), მისიროლი, კაშიონე, კოშტა (კოცა 75), ვიჯანი (ბრიეცა 56), ჰალფრედსონი, მაკინვა

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

გაფრთხილება: ვიჯანი, მუდინგაი, ბიანკი, მაური

მსაჯი: საკანი

35 000 მაყურებელი

პარმა 2:0 უდინეზე

1:0 ლუკარელი (78), 2:0 ჩიგარინი (87პ)

პარმა: ბუჩი, კოლი, ფალკონე, მ. როსი, კასტელანი, დ. ძენონი (ჩიგარინი 58), მორონე, მარიგა, რეჯინალდო (ბუდანი 71), კ. ლუკარელი (დესენა 86), პიზანუ

მწვრთნელი: დომენიკო დი კარლო

უდინეზე: კიმენტი, ზაპტოჩნი, ფილიპე (ფლორო ფლორესი 81), ლუკოვიჩი, ფერონტი (კოლომბო 72), ინლერი (პინცი 85), დაგოსტინო, დოსენა, პეპე, კვალიარელა, დი ნატალე

მწვრთნელი: პასკუალე მარინო

გაფრთხილება: ლუკარელი, პიზანუ

მსაჯი: მაცოლენი

10 000 მაყურებელი

პალერმო 2:0 ემპოლი

1:0 სიმპლისიო (14), 2:0 რინაუდო (38)

პალერმო: ფონტანა, ძაკარდო, ბარცალი, რინაუდო, კასანი, ტედესკო (გუანა 56), მილიაჩო, სიმპლისიო (კაზერტა 82), ბალცარეტი, კავანი (ბრეშიანო 66), ამაური

მწვთრნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

ემპოლი: ბასი, ანტონინი, მარცორატი (ტოსტო 60), პრატალი, რაჯი, მორო, მარკიზიო (აბატე 46), ბუდელი, ბუშე, ვანუკი, საუდატი (ვოლპატო 84)

მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი

გაფრთხილება: კავანი, მილიაჩო, მორო

მსაჯი: ბანტი

22 000 მაყურებელი

სიენა 1:0 კალიარი

1:0 მაკარონე (88)

სიენა: მანინგერი, როსეტინი, ლორია, პორტანოვა, კ. როსი. იაროლიმი (ლოკატელი 46), ვერგასოლა, კოდრია, გალოპა (ხარჯა 69), მაკარონე, რიგანო (ფრიკი 46)

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

კალიარი: სტორარი, პიზანო, ბიანკო, ლოპესი, აგოსტინი, ბიონდინი (კოსუ 50), კონტი, პაროლა, ფოჯა, ფედა (მანკოზუ 76), ლარივეი (ბატრი 62)

მწვრთნელი: დავიდე ბალარდინი

გაფრთხილება: კოდრია, როსეტინი, აგოსტინი

მსაჯი: ფარინა

6 000 მაყურებელი

იუვენტუსი 0:0 ტორინო

რომა: რჩება თუ რჩებოდა

ვეტერანი ხავიერ ძანეტის გოლმა „ინტერს“ რენომე შეუნარჩუნა

როცა მაისის ბოლოს „ინტერი“ სკუდეტოს აიღებს და უზარმაზარი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აიღებს, თუ ნამუსია, ხავიერ ძანეტის ის გოლიც უნდა გაიხსენონ, ოთხშაბათს „რომას“ რომ გაუტანა.

„რომა“ ერთადერთ გუნდად რჩება (თუ რჩებოდა), მილანელთა დაწევის შანსი რომ აქვს (ჰქონდა) და მატჩისწინა ამბებიც ისეთი იყო, რომაელებს რომ აწყობდათ: მარცხი „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგაში და ფრე „სამპდორიასთან“ ჩემპიონატში — „ინტერი“ თითქოს დაღმასვლის გზას ედგა. გარდა ამისა, „შავ-ლურჯებს“ ივან კორდობა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ხულიო კრუზი, ვალტერ სამუელი, ოლივიე დაკური და სესარ აპარესიდო აკლდათ. კიდევ, „ინტერი“ სერია A-ში 2007 წლის 18 აპრილის მერე დაუმარცხებული გახლდათ და ის ბოლო გუნდი, ეს რომ მოახერხა, სწორედ „რომაა“. და ერთიც: მაქსველის ტრავმის მერე, რაკი მილანელებს შეცვლათა ლიმიტი ამოწურული ჰქონდათ, რომაელი ფილიპ მექსესის გაძევებამდე მთელი 25 წუთი კაცნაკლულებმა ითამაშეს.

ერთი სიტყვით, რომაელთა დაწინაურება ლოგიკურიც იყო, გოლი კი ფრანჩესკო ტოტის შეაგდო, ვინაც მარკო ტონეტოს პასს მარცხენა დაუხვედრა, კრისტიან კივუმ დაფარება ვერ შეძლო და „რომას“ კაპიტანმაც ახლო კუთხეში გაიტანა.

მატჩის მომენტებს დაწვრთილებით აღარ ჩამოვთვლით, ის კი აღვნიშნოთ, რომ გვარიანად დაძაბული და ნერვული თამაში იყო, ბოლო წუთებში კი, ნერვულობამ კრიტიკულ ზღვარსაც მიაღწია.

მთლიანობაში კი უცნაური ტური იყო: ზედა შვიდეულის გუნდთაგან ოდენ „ფიორენტინამ“ მოიგო. ტოსკანურ დერბიში ლივორნოელებს 1937 წლის აქეთ არ მოუგიათ და ძალა ამ ჯერზეც ფლორენციელთა მხარეს იყო. ერთადერთი გოლი კი ნდიაე პაპა ვაეგომ გაიტანა და ეს მისი სადებიუტო გოლიც იყო სერია A-ში. ხოლო წამატებულ დროში პაციინის შეეძლო მეორე მომატება, მაგრამ ძელს გაარტყა.

ტურინული დერბის თაობაზე გუშინ გვეწერა და აქ აღარ შევჩერდებით, „მილანმა“ კი მეოთხეობა ისევ დაკარგა, რაშიც ცალკე „ფიორენტინას“ გამარჯვებამ შეიტანა წვლილი, ცალკე კი, თავად მილანელთა დაკარგულმა ორმა ქულამ.

„კატანიას“, რომელსაც საამსეზონო იტალიის თასიდან „მილანი“ გადებული ჰყავს, სერია A-ში მილანური გუნდისთვის 1963 წლის მაისის აქეთ არ მოუგია. ვერც ახლა დაამარცხა, თუმც ისეთი ორი ქულა აართვა, „როსონერის“ ეგებ ძვირადაც რომ დაუჯდეს.

მილანელთაგან რამდენჯერმე პიპო ინძაგმ შეაწუხა მეტოქე, მაგრამ თუ მართლა სერიოზულ შემწუხებელზე მიდგა საქმე, ეს პატო იყო. ამ 18 წლის ბიჭმა პირველ ტაიმშიც ხომ არ მოასვენა კატალონიელები და მეორეშიც ანგარიში მან გახსნა — სამი მცველის მცდელობამ, პატო შეეჩერებინა, ამაოდ ჩაიარა.

პატოს გოლიდან 7 წუთში ინძაგმ მეორეც გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს. ფორვარდი ნაღდად ოფსაიდში იყო. ამ ეპიზოდიდან ერთ წუთში კი „კატანიამ“ გაათანაბრა. ეს გოლი მოედანზე 4 წუთის შესულმა ჯონატან სპინეზმ გაიტანა, რომელმაც მარცხნიდან ვარგასის პასი მიიღო. მილანელები ამ დროს სპინეზის თამაშგარეში ჩატოვების მცდელობაში იყვნენ.

ერთი საინტერესო ფაქტიც: სპინეზი სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ იმიტომ არ იყო, რომ წინა ტურში პენალტი ვერ გაიტანა, რითაც ფანები სასტიკად გააბრაზა და მწვრთნელმაც გულშემატკივართა გაავებას გაუწია ანგარიში... ამ მატჩში კიდევ ერთი გოლი გაუქმდა, ამჯერად კატანიელებისა, რაკი, მსაჯის აზრით, სილვესტრიმ მსუბუქად უბიძგა დანიელე ბონერას.

პარმაში საქმე უგოლო ფრისკენ მიდიოდა, რაც იქაურთა მწვრთნელს დომენიკო დი კარლოს სამსახურის დაკარგვით ემუქრებოდა. მხსნელად კრისტიანო ლუკარელი გამოჩნდა — ანდრეა პიზანუს ჩაკიდებული საჯარიმო ლუკარელიმ ეფექტური დარტყმით გოლად აქცია, მერე კი აჭრილ უდინელებს ლუკა ჩიგარინიმ პენალტიც გაუტანა. იმ ეპიზოდში ჯამპიერო პინციმ საჯარიმოში ბუდანი წააქცია. სხვათა შორის, პინცი, პენალტი რომ აიკიდა, სულ ერთი წუთის შესული იყო მოედანზე. და ერთი სტატისტიკური ფაქტიც: „პარმასა“ და „უდინეზეს“ შეხვედრა 2000 წლის აპრილის მერე ფრედ არ დასრულებულა.

ერთ დროს დიდი გუნდები, „ჯენოა“ და „ნაპოლი“, კარგა ხანს ვეღარ ჩაუქობდნენ, სერია A-დანაც დაქვეითებულნი იყვნენ და ისე გამოვიდა, რომ უმაღლეს იტალიურ ლიგაში ამ სეზონამდე 13 წელი არ შეხვედრილან ერთმანეთს.

ამათი ამ ტურის შეხვედრა კი „ჯენოამ“ მოიგო სკულისა და ბორიელოს გოლებით. დამსახურებული მოგებაც იყო, რაკი გენუელები მეტს და სახიფათოდაც უტევდნენ.

ჯუზეპე სკული ორ მცველს გასცდა, მეკარეც მოატყუა და ისე გაიტანა, ბორიელოს კი მაურიციო დომიციი ეუხეშა და დაზარალებულმა თავადვე გაიტანა პენალტი. ისე, დაზარალებული ეძახე და, ამ გოლით ბორიელო „კაპოკანონირე“ — საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, ტურინელ დავიდ ტრეზეგეს ერთი გოლით გადაუსწრო.

ძოტე ძეძელია

ინტერი	25	18	7	0	50:15		61
რომა	25	15	7	3	42:24		52
იუვენტუსი	25	13	9	3	44:21		48
ფიორენტინა	25	12	8	5	37:23		44
მილანი	25	11	9	5	37:19		42
უდინეზე	25	10	6	9	31:35		36
სამპდორია	25	10	5	10	32:31		35
ჯენოა	25	9	8	8	30:33		35
ატალანტა	25	8	10	7	40:38		34
პალერმო	25	9	7	9	34:40		34
ნაპოლი	25	8	6	11	36:40		30
ლაციო	25	7	8	10	28:32		29
ტორინო	25	4	15	6	27:30		27
პარმა	25	5	10	10	31:37		25
სიენა	25	5	10	10	28:34		25
ემპოლი	25	6	7	12	21:32		25
კატანია	25	5	9	11	21:31		24
ლივორნო	25	5	8	12	26:39		23
რეჯინა	25	4	9	12	21:39		21
კალიარი	25	4	6	15	19:42		18

ბომბარდირები

ბორიელო (ჯენოა)	16
ტრეზეგე (იუვენტუსი)	15
იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)	14
მუტუ (ფიორენტინა)	14
დელ პიერო (იუვენტუსი)	11
დი ნატალე (უდინეზე)	11
ტოტი (რომა)	11
კრუზი (ინტერი)	10
კ. დონი (ატალანტა)	10
ტავანო (ლივორნო)	10

XXVI ტური

1 მარტი

რომა	:	პარმა
მილანი	:	ლაციო

2 მარტი

კალიარი	:	ჯენოა
ნაპოლი	:	ინტერი
უდინეზე	:	ატალანტა
ლივორნო	:	კატანია
იუვენტუსი	:	ფიორენტინა
რეჯინა	:	პალერმო
ემპოლი	:	სიენა
სამპდორია	:	ტორინო

ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი

ბარსელონა 1:1 ვალენსია

0:1 ვილია (70), 1:1 ხავი (90)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ტურე, დეკუ (ინიესტა 69), მესი, ანრი (კრკიჩი 69), ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ვალენსია: ჰილდებრანდი, კანეირა, ელგერა, ალბიოლი, მორეტი, მადური, ბანეგა (ბარახა 69), მატა (ვისენტე 80), ხოაკინი (არისმენდი 62), დ. სილვა, ვილია
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: დეკუ, მესი, სილვა, კრკიჩი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
74 378 მაყურებელი

რონალდ კუმანი: ძალიან გაგვიმართლა

– **მსაჯის** დამატებული წუთები იწურებოდა, როცა „ბარსელონა" უმძლავრესად მიაწვა მეტოქეს. სამუელ ეტოომ საჯარიმოში ქარიშხალივით შეანგრია „ვალენსიას" დაცვა და როცა მისი დარტყმული ჰილდებრანდმა უკუაგდო, სწორედ მაშინ დასცხო ხავიმ საშინლად. დასცხო და „კამპ ნოუ" ლამის დაინგრა... ეს იმას ნიშნავდა, რომ „ბარსამ" არ წააგო და, მიუხედავად უდიდესი ტერიტორიული თუ სათამაშო უპირატესობისა, ოდენ ფრე გამოადნო.

„ვალენსიას" ქომაგები თამაშის მერე იტყვიან, მსაჯ იტურალდე გონსალესს თავიდანვე დამატებული სამი წუთის მაგივრად კიდევ ორი რომ არ მიემატებინა, მოვიგებდითო. ამასვე ედავებოდნენ არბიტრს თავად „ღამურებიც", თუმცა...

„სულ ცოტა, ფრე ნაღდად დავიმსახურეთ. მეტოქე ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ, მაგრამ, რად გინდა, იღბალმა გვიგანა, ბურთი არა და არ შედიოდა კარში. ერთი სიტყვით, ფრით კმაყოფილი არ ვარ, თუმცა რომ არ წავაგეთ, ამას კი სჯობს. მერწმუნეთ, საპასუხო მატჩში ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და ფინალშიც „ბარსა" გავა" — განუცხადა „მარკას" კატალონიელთა თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა.

„ვალენსიას" მწვრთნელი რონალდ კუმანი: „უამრავი შეცდომა დავუშვით და ძალიან გაგვიმართლა, რომ „კამპ ნოუდან" ფრე მიგვაქვს. ცხადია, სამწუხაროა, როცა გოლს ბოლო წამებზე უშვებ, მაგრამ ვიყოთ გულახდილნი, მეტოქემ ეს დაიმსახურა".

ზემოთაც ვთქვით, „ბარსელონა" დომინირებდა, აურაცხელი საგოლე მომენტები გაანიავეს მესიმ, ეტოომ, ანრიმ, დეკუმ და შეტევებს მიძალებულმა საყრდენმა იაია ტურემ, მაგრამ გუშინწინ ბრწყინვალედ თამაშობდა „ვალენსიას" მეკარე ტიმო ჰილდებრანდი. გერმანელმა არაერთი მკვდარი ბურთი აუღო მომხვდურთ და როცა 70-ე წუთი დადგა, „კამპ ნოუ" მოულოდნელად გაირინდა — დავიდ ვილიამ ვალენსიელთა ერთა-ერთი უსწრაფესი კონტრშეტევა გოლად აქცია.

გაშვებულმა ბურთმა „ბარსელონა" კიდევ უფრო გაამძვინვარა. სტუმართა კართან შეტევა შეტევაზე მიდიოდა, ფლანგებიდან იყო თუ შუიდან, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუნდაც ერთი გოლი „ბარსას" უნდა შეეგდო...

... მსაჯის დამატებული წუთები იწურებოდა, როცა „ბარსელონა" უმძლავრესად მიაწვა მეტოქეს, სამუელ ეტოომ საჯარიმოში ქარიშხალივით შეანგრია „ვალენსიას" დაცვა და როცა მისი დარტყმული ჰილდებრანდმა უკუაგდო, აი, სწორედ მაშინ დასცხო ხავიმ საშინლად...

სამუელ ეტოომ ტიმო ჰილდებრანდს ვერაფერი მოუხერხა

გიორგი ფუფაქიძე

დომენიკო დი კარლო და ტომაზო გირარდი

შეცვლებმა გაამართლაო

„უდინეზესთან" გამარჯვების შემდეგ „პარმას" თავკაცმა დომენიკო დი კარლომ შვებით ამოისუნთქა — შესაძლოა, ამ შედეგმა მას სამსახური შეუნარჩუნოს.

საქმე ის გახლავთ, რომ პარმელებს საქმე ცუდად აქვთ, გავარდნის რისკს ეთამაშებიან, რის გამოც იტალიაში ჭორი დაირხა, კლუბის პრეზიდენტი ტომაზო გირარდი მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნას აპირებსო.

„თავს კრიტიკის ისეთი ქარიშხალი დამატყდა, რომ მეგონა, სამსახურიდან უკვე გაშვებული ვიყავი, თუმცა მთავარი ის კი არ არის, რას ამბობენ კრიტიკოსები, არამედ ის, თუ რა ხდება მოედანზე. ახლა უკვე ზედიზედ მეოთხე თამაში არ წავაგეთ, რაც დამაიმედებელი შედეგი გახლავთ და საკუთარი ძალების რწმენით აღგვავსებს. „უდინეზესთან" შეხვედრის პირველი ტაიმი საკმაოდ სახიფათო იყო, მეორე ნახევარში კი გაცილებით ინტენსიურად ავთამაშდით. ნაწილობრივ ეს, ალბათ, შეცვლებითაც იყო განპირობებული. მდგომარეობა სწორედ ასე უნდა გადავარჩინოთ. გუნდი 90-წუთიანი ბრძოლისთვის მარად მზად უნდა იყოს"— თქვა დომენიკო დი კარლომ.

პაპუნა ქედია

გერმანია

თასის მეოთხედფინალი

ვოლფსბურგი 2:1დ.დ.(1:1) ჰამბურგი

1:0 გრაფიტე (17), 1:1 ვან დერ ვაარტი (70), 2:1 მარსელინიო (109)
ვოლფსბურგი: ბენალიო, გენტნერი, რიკარდუ კოშტა, მადლუნგი, მ. შეფერი, რიტერი (შიმუნეკი 66), ჟოსუე, ჰასებე (კრჟინოვეკი 95), მარსელინიო, დეჯაგა (ძეკო 66), გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰამბურგი: ფ. როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ბენჯამინი, კომპანი, დე იონგი, იაროლიმი (ტროხოვსკი 64), ვან დერ ვაარტი (ბოატენგი 80), ოლიჩი, გერერო (ზიდანი 54)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ზიდანი, კომპანი
მსაჯი: ფლაიშერი
29 086 მაყურებელი

ბაიერნი 1:0დ.დ.(0:0) მიუნხენი

1:0 რიბერი (120)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (ლელი 76), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ზე რობერტო, ვან ბომელი, ჰამიტ ალტინტოპი (რიბერი 46), კროოსი (კლოზე 65), პოდოლსკი, ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი (ტშაუნერი 35), ბ. შვარცი, თორანდტი, ბერჰალტერი, ტ. ჰოფმანი, ს. ბენდერი (ჰოლებასი 59), დ. შვარცი, ლ. ბენდერი, გებჰარდტი, ბიროფკა (პაგენბურგი 66), კუჩუკოვიჩი
მწვრთნელი: მარკო კურცი
გაფრთხილება: კროოსი, ტ. ჰოფმანი, ტონი, ლამი, ბ. შვარცი, თორანდტი, ტონი, ბ. შვარცი, თორანდტი
გაძევება: ტონი (84), ბ. შვარცი (111), თორანდტი (120)
მსაჯი: გაგელმანი
69 000 მაყურებელი

203-ე მიუნხენურის გმირი ანდრეას გაგელმანი

203-ე მიუნხენურ დერბიში მსაჯმა ანდრეას გაგელმანმა, გერმანული მედიის აზრით, მასობრივ არეულობას დაუდო სათავე: დამატებითი დროის 120-ე წუთზე „მიუნხენ 1860"-ის კარში პენალტი დანიშნა, ფრანკ რიბერიმ გაიტანა, „ბაიერნი" გერმანიის თასის ნახევარფინალში ასე გავიდა და გაგელმანის საფინალო სასტვენისთანავე „ალიანს არენაზე" დიდი ჩხუბი ატყდა.

მსაჯზე გაგულისებულმა „მიუნხენ 1860"-ის ფანებმა იერიში „ბაიერნის" გულშემატკივრებზე მიიტანეს და სტადიონზე რომ ვერაფერს გახდნენ (69 000 ქომაგიდან უმრავლესობა „ბაიერნის" მხარდამჭერი იყო), ხელჩართული ბრძოლა ქალაქში გაჩაღდა. მოჩხუბრებს ოდენ 400 პოლიციელი აშველებდა, მაგრამ მათ მაინც შეძლეს 12 თავგასულის დაკავება, 6 ადამიანი კი ამ შეხლისას სერიოზულად დასახიჩრდა.

ცხადია, ამ ყველაფრის საქმის კურსშია გერმანიის საფეხბურთო კავშირი. ისინი სამართალდამცავებთან ერთად გამოძიებით თავად არიან დაინტერესებულნი და პოლიციას სთხოვენ, დაუყოვნებლივ დაადგინონ დამნაშავეები.

ამ ყოველივეს ფონზე, ცხადია, ძნელია, აღწერო თამაში, სადაც ფეხბურთი კი არა, ომი მიდიოდა. იციით, დერბის რა დატვირთვაც აქვს, მაგრამ გუშინწინ „ალიანს არენაზე" ფეხბურთი ნაღდად არ იყო: მეტოქეები ერთურთს არ ინდობდნენ, რისი დასტურიც 9 ყვითელი და 3 წითელი ბარათია. არ უთამაშია ქართველთა ნაკრების მცველ მათე ღვინიანიძეს, თუმცა როგორ ითამაშებდა, „მიუნხენ 1860"-ის ქართველი ლეგიონერი ხომ ტრავმირებულია.

ამასობაში, მშვიდობიანად გაარკვიეს ურთიერთობა „ვოლფსბურგმა" და „ჰამბურგმა". დამატებითი დრო აქაც დაინიშნა. ფელიქს მაგათის გუნდმა ბრაზილიელი მარსელინიოს 109-ე წუთზე გატანილით წყვილის ფავორიტი „ჰამბურგი" დააჩოქა და ნახევარფინალში გავიდა.

15306	ბრაგა-გიმარაეში	3.00	2.80	2.00
15307	სპორტინგი-ბენფიკა	3.00	2.80	2.00
15308	ლეირია-სეტუბალი	3.00	2.80	2.00
15309	ბოავიშტა-პორტუ	3.00	2.80	2.00
15326	კაისერი-დენიზლი	3.00	2.80	2.00
15327	ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე	3.00	2.80	2.00
15328	ბეშიქთაში-გალათასარაი	3.00	2.80	2.00
15329	ანკარა-გაზიანთეფი	3.00	2.80	2.00
15330	კასიმპასა-გენჩლერბირლიგი	3.00	2.80	2.00
15331	რიზე-ოფთასპორი	3.00	2.80	2.00
15333	ბურსა-სივასპორი	3.00	2.80	2.00
15334	კონია-ტრაბზონი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16127	შალკე-ბაიერნი	2.10	1.60
16128	ბოხუმი-ლევერკუზენი	2.10	1.60
16129	ჰანოვერი-ნიურნბერგი	1.40	2.55
16130	ვერდერი-დორტმუნდი	1.23	3.60
16131	ჰანზა-არმინია	1.34	2.80
16132	ჰამბურგი-აინტრახტი	1.17	4.10
16133	კარლსრუე-ვოლფსბურგი	1.62	2.05
16134	ჰერტა-დუისბურგი	1.22	3.40
16135	კოტბუსი -შტუტგარტი	2.20	1.50
16137	მიუნხენი 1860-ალემანია	1.50	2.30
16138	ვეენი-აუგსბურგი	1.55	2.20
16139	ფიურტი-კოლნი	1.65	2.05
16140	მიონხენგლადბახი-აუე	1.12	4.60
16141	კობლენცი-კარლ ცაისი	1.32	3.00
16142	ოსნაბრიუკი-ჰოფენჰაიმი	1.95	1.65
16143	ოფენბახი-ზტ.პაული	1.58	2.10
16144	ფრაიბურგი-მაინცი	1.58	2.10
16145	პადერბორნი-კაიზერსლაუტერნი	1.80	1.85
16254	ბულონი-ამიენი	1.75	1.85
16255	მონპელიე-ანჟე	1.34	2.80
16256	გრენობლი-ბასტია	1.58	2.10
16257	გენიონი-ბრესტი	1.85	1.80
16258	ნიორი-შატორუ	1.62	2.05
16259	დიჟონი-კლერმანი	1.80	1.80
16260	ტრუა-ლე ავრი	1.62	2.05
16262	აიაჩო-რეიმსი	1.40	2.55
16263	გენგამი-სედანი	1.58	2.10
16265	ბეერსხოტი-სერკლი	1.65	2.05
16266	ლოკერენი-მუსკრონი	1.30	3.00
16267	მეხელენი-ვარეგემი	1.50	2.30
16268	მონხი-დენდერი	1.38	2.65
16269	რუზელარე-გენტი	2.10	1.60
16270	სტ-ტრუიდენი-ბრიუსელი	1.22	3.40
16271	ვესტერლო-სტანდარდი	2.20	1.50
16272	ანდერლეხტი-გენკი	1.22	3.40
16283	ვიტესი-ვენლო	1.14	4.70
16284	ბრედა-სპარტა	1.14	4.70
16285	ტვენტე-ჰერენვენი	1.52	2.20
16286	გრაავსხაპი-ტილბურგი	1.62	2.05
16287	როდა-ალმაარი	1.52	2.20
16288	უტრეხტი-პსვ	3.00	1.30
16292	კამბური-ვალვაიკი	3.30	1.25
16293	ჰაარლემი-ტელსტარი	1.70	1.95
16294	ვოლენდამი-სიტარდი	1.11	5.70
16295	მაასტრიხტი-ვეენდამი	1.14	4.70
16296	ეინდჰოვენი-ზვოლე	2.45	1.40
16297	იგლზი-ჰელმონდი	1.55	2.20
16298	აპელდორნი-ემენი	1.62	2.05
16299	როზენდალი-დენ ჰაგი	1.55	2.20
16300	ოსი-დორდრეხტი	1.45	2.45
16301	ომნივორლდი-დენ ბოსხი	2.20	1.50
16302	ლეიშოეში-აკადემია	1.45	2.45
16303	მარიტიმუ-ამადორა	1.25	3.40
16304	ნავალი-ნასიონალი	1.85	1.80
16305	ფერეირა-ბელენენსეში	1.80	1.85
16306	ბრაგა-გიმარაეში	1.52	2.20
16307	სპორტინგი-ბენფიკა	1.62	2.05
16308	ლეირია-სეტუბალი	2.05	1.65
16309	ბოავიშტა-პორტუ	3.00	1.30
16326	კაისერი-დენიზლი	1.17	4.10
16327	ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე	2.40	1.45
16328	ბეშიქთაში-გალათასარაი	1.65	2.05
16329	ანკარა-გაზიანთეფი	1.52	2.20
16330	კასიმპასა-გენჩლერბირლიგი	2.05	1.65
16331	რიზე-ოფთასპორი	1.55	2.20
16333	ბურსა-სივასპორი	1.82	1.82
16334	კონია-ტრაბზონი	1.80	1.80

გოლი:ყველი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყველად)

17127	შალკე-ბაიერნი	1.85	1.95
17128	ბოხუმი-ლევერკუზენი	1.85	1.95
17129	ჰანოვერი-ნიურნბერგი	1.85	1.95
17130	ვერდერი-დორტმუნდი	1.85	1.95
17131	ჰანზა-არმინია	1.85	1.95
17132	ჰამბურგი-აინტრახტი	1.85	1.95
17133	კარლსრუე-ვოლფსბურგი	1.85	1.95
17134	ჰერტა-დუისბურგი	1.85	1.95
17135	კოტბუსი -შტუტგარტი	1.85	1.95
17137	მიუნხენი 1860-ალემანია	1.85	1.95
17138	ვეენი-აუგსბურგი	1.85	1.95
17139	ფიურტი-კოლნი	1.85	1.95
17140	მიონხენგლადბახი-აუე	1.85	1.95
17141	კობლენცი-კარლ ცაისი	1.85	1.95
17142	ოსნაბრიუკი-ჰოფენჰაიმი	1.85	1.95
17143	ოფენბახი-ზტ.პაული	1.85	1.95
17144	ფრაიბურგი-მაინცი	1.85	1.95
17145	პადერბორნი-კაიზერსლაუტერნი	1.85	1.95
17254	ბულონი-ამიენი	1.85	1.95
17255	მონპელიე-ანჟე	1.85	1.95
17256	გრენობლი-ბასტია	1.85	1.95
17257	გენიონი-ბრესტი	1.85	1.95
17258	ნიორი-შატორუ	1.85	1.95
17259	დიჟონი-კლერმანი	1.85	1.95
17260	ტრუა-ლე ავრი	1.85	1.95
17261	სანტ-ლიბურნი	1.85	1.95
17262	აიაჩო-რეიმსი	1.85	1.95
17263	გენგამი-სედანი	1.85	1.95
17264	ბრიუგე-შარლერუა	1.85	1.95
17265	ბეერსხოტი-სერკლი	1.85	1.95
17266	ლოკერენი-მუსკრონი	1.85	1.95
17267	მეხელენი-ვარეგემი	1.85	1.95
17268	მონხი-დენდერი	1.85	1.95
17269	რუზელარე-გენტი	1.85	1.95
17270	სტ-ტრუიდენი-ბრიუსელი	1.85	1.95
17271	ვესტერლო-სტანდარდი	1.85	1.95
17272	ანდერლეხტი-გენკი	1.85	1.95
17283	ვიტესი-ვენლო	1.85	1.95
17284	ბრედა-სპარტა	1.85	1.95
17285	ტვენტე-ჰერენვენი	1.85	1.95
17286	გრაავსხაპი-ტილბურგი	1.85	1.95
17287	როდა-ალმაარი	1.85	1.95
17288	უტრეხტი-პსვ	1.85	1.95
17289	ფეიენორდი-ნაიმეგენი	1.85	1.95
17290	აიაქსი-ეინდჰოვენი	1.85	1.95
17291	გრონინგენი-ჰერაკლეი	1.85	1.95
17292	კამბური-ვალვაიკი	1.85	1.95
17293	ჰაარლემი-ტელსტარი	1.85	1.95
17294	ვოლენდამი-სიტარდი	1.85	1.95
17295	მაასტრიხტი-ვეენდამი	1.85	1.95
17296	ეინდჰოვენი-ზვოლე	1.85	1.95
17297	იგლზი-ჰელმონდი	1.85	1.95
17298	აპელდორნი-ემენი	1.85	1.95
17299	როზენდალი-დენ ჰაგი	1.85	1.95
17300	ოსი-დორდრეხტი	1.85	1.95
17301	ომნივორლდი-დენ ბოსხი	1.85	1.95
17302	ლეიშოეში-აკადემია	1.85	1.95
17303	მარიტიმუ-ამადორა	1.85	1.95
17304	ნავალი-ნასიონალი	1.85	1.95
17305	ფერეირა-ბელენენსეში	1.85	1.95
17306	ბრაგა-გიმარაეში	1.85	1.95
17307	სპორტინგი-ბენფიკა	1.85	1.95
17308	ლეირია-სეტუბალი	1.85	1.95
17309	ბოავიშტა-პორტუ	1.85	1.95
17326	კაისერი-დენიზლი	1.85	1.95
17327	ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე	1.85	1.95
17328	ბეშიქთაში-გალათასარაი	1.85	1.95
17329	ანკარა-გაზიანთეფი	1.85	1.95
17330	კასიმპასა-გენჩლერბირლიგი	1.85	1.95
17331	რიზე-ოფთასპორი	1.85	1.95
17333	ბურსა-სივასპორი	1.85	1.95
17334	კონია-ტრაბზონი	1.85	1.95

კადეტებისთვის ევროპა ძალიან მაღალია

გასულ კვირაში საქართველოს კადეტთა ნაკრებმა თურქეთის ქალაქ საქარიას 12-გუნდა საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და შვიდივე მატჩი წააგო. თურქეთში, ფაქტობრივად, ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, რადგან მასში, ძირითადად, A დივიზიონის გუნდები მონაწილეობდნენ. ქართველებიც ელიტაში არიან და როგორც საქარიაში გამოჩნდა, A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. მოგეხსენებათ, ასაკის გადაკეთება ქართული კალათბურთის სენია და მას საკმაოდ საფუძვლიანად ებრძვის ჩვენი ფედერაცია. ცოდვა გამხელილი სჯობსო და, გელა წულაძის ეს ნაკრები არის პირველი, რომელშიც ყველა მოთამაშე ასაკობრივ ცენზს ექვემდებარება. ფედერაციას ეს ბიჭები 13 წლიდან კონტროლზე ჰყავდა აყვანილი და საკადეტო წლოვანებაში რომ შევიდნენ, ნაკრებიც შეიკრა. არავის ჰქონდა ილუზია, რომ ისინი თურქეთში იმარჯვებდნენ, მაგრამ შვიდივე თამაშის წაგება დამაფიქრებელი და სათაკილოა. გუშინ კადეტთა თავკაც გელა წულაძეს შევეხმიანეთ და თურქული ამბები გამოვკითხეთ...

— ელოდით, რომ შვიდივე თამაშს წააგებდით?

— ამ ტურნირს მოსამზადებელი დანიშნულება კი ჰქონდა, მაგრამ ყველა თამაშის წაგება მართლაც მიუღებელია. თურქეთში არაოფიციალური ევროპის ჩემპიონატი გაიმართა — A დივიზიონის მხოლოდ 4 გუნდი აკლდა. თვენახევრის წინ ესპანეთშიც ვიყავით საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირზე და იმასთან შედარებით, ჩვენ ნაკრებს მომატებული აქვს.

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— პირველ რიგში, ფიზმომზადებას. თბილისში გავლილი ორკვირიანი შეკრება მძლეოსნობის მწვრთნელ ავთო ბერიძესთან ძალიან წაგვადგა. უწინდელთან შედარებით, ამ კომპონენტში საკმაოდ მოვუმატეთ, მაგრამ ევროპის წამყვან გუნდებთან ჯერ შორსა ვართ. თავად განსაჯეთ, რა მოუვიდოდათ 16 წლის ბიჭებს, როცა 8 დღეში 7 მატჩი ითამაშეს.

— კი მაგრამ, მეტოქე გუნდებშიც ხომ 16 წლის ბიჭები არიან და იმავე განრიგით ითამაშეს?!

— ზემოთ სწორედ ეს ვთქვი, რომ ევროპელები ჩვენზე ერთი თავით მაღლა დგანან ფიზმომზადებაში...

— მხოლოდ ფიზმომზადებაში?

— არა, ყველაფერში. ამ ტურნირის მთავარი პლუსი ის იყო, რომ ჩვენ კარგად დავინახეთ, თუ რამდენი გვაკლია ევროპულ დონემდე. აბსოლუტურად ყველაფერი ჩანიშნული მაქვს, ყველა ნიუანსი გავაანალიზეთ და ვიცით, რაზე უნდა ვიმუშაოთ ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში.

— რა არის ჩვენი ნაკრების ყველაზე სუსტი მხარე?

— ზოგადად, სიმაღლეში გვიჭირს ძალიან. ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე, მხოლოდ 2 მეტრია. თურქეთში მეფარეებზე მეტი ბურთი პერიმეტრის მოთამაშეებმა მოხსნეს. თავის მხრივ, უკანახაზელები იმაში მოიკოჭლებდნენ, რაც მათი უშუალო მოვალეობაა — ბურთის გადმოტანა და კომბინაციების ორგანიზება. ძალიან ბევრ ბურთს კარგავენ. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა კომპონენტში ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს.

— უშუალოდ თამაშებს როგორ შეაფასებთ?

— იტალიასთან 68 ქულით არ უნდა წაგვეგო, ნამდვილად არ იყვნენ ჩვენზე ასე ძლიერები. არ ვიცი, შეეშინდათ თუ რისი ბრალი იყო, მაგრამ ასე საშინლად კი წავაგეთ. მერე, როცა ფირზე ვუყურეთ ამ თამაშს, ყველამ დაინახა, რომ იტალია არ იყო ასეთი უძლეველი. უბრალოდ, ძალიან გაუმართლათ და ჩვენც დავეხმარეთ ამაში. ბრმას რომ ეძახიან, ისეთი ბურთები ჩააგდეს. თანაც, თითქმის არ აცილებდნენ და ამან ძალიან დათრგუნა ბიჭები.

— იტალიასთან ამხელა სხვაობით წაგების შემდეგ ცოტა მოულოდნელი იყო უკრაინასთან და რუსეთათნ კარგი თამაში...

— გეთანხმებით. ძალიან გაოცებული ვიყავი, ბიჭებმა იტალიასთან განადგურების შემდეგ რომ მოახერხეს და უკრაინას დამატებით ხუთწუთეულში გადაუყვანეს თამაში. უფრო მეტად გამიკვირდა, მომდევნო მატჩში რუსეთთან ბოლო წუთებამდე ტოლ-სწორად რომ ვითამაშეთ. უკრაინასთან დამატებითმა დრომ დიდი ენერგია წაიღო და არ მეგონა, რუსეთთან ბოლო წუთებამდე თუ გვექნებოდა გამარჯვების შანსი. ამის შემდეგ თურქეთს შევხვდით და უშანსოდ წავაგეთ, ხოლო შემდეგ სლოვენიასთან მოგებული შეხვედრა დავთმეთ.

— ჩვენიანთაგან ვის გამოარჩევდით?

— მერაბ ბოქოლიშვილს, რომელიც ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო. თავიდან ის უფრო შედეგიანი გახლდათ, თუმცა რომ ნახეს, ბლომად ქულებს იხვეჭდა, ჩვენმა მომდევნო მეტოქეებმა ბოქოლიშვილზე განსაკუთრებული მეურვეობა დააწესეს.

— ორი კვირის წინ კადეტთა ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა გაიმართა და მეტოქეებზე (ისრაელი, საფრანგეთი, რუსეთი) რას იტყოდით?

— საფრანგეთის ნაკრებმა თურქეთში მესამე ადგილი დაიკავა. ტურნირი კი ცუდად დაიწყეს, მაგრამ მერე მოუმატეს და ნახევარფინალში იტალიასთან ლიდერი რომ არ გავარდნოდათ, ფინალშიც გავიდოდნენ. მესამე ადგილისთვის მატჩი კი ფრანგებმა მასპინძლებს მოუგეს. რუსეთს უშუალოდ შევხვდით და მათთან მოგება არაა წარმოუდგენელი. ისრაელის ნაკრები არ გვინახავს, მაგრამ ვიცით, რომ ძალიან ორგანიზებული და შეკრული გუნდია. უკეთესი იქნებოდა, ისრაელის ნაცვლად უკრაინა შეგვხვედროდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ უკრაინელები A დივიზიონის კიდევ ერთ აუტსაიდერ უნგრეთთან ერთად არიან. ანუ ამ ორი, შედარებით სუსტი გუნდიდან, ერთი A დივიზიონში დარჩება.

— რას ფიქრობთ, ივლისამდე იმ დონეზე ასვლას მოახერხებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნოთ?

— წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ რომ ცდას არ დავაკლებთ და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ, ამას თქმა არ უნდა. სავარაუდოდ, კიდევ მოგვიწევს უცხოურ ტურნირებზე წასვლა, რისთვისაც მადლობას ვუხდი კალათბურთის ფედერაციას და სპონსორებს.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ბიბი, შენ აღარ ხარ კინგი

27 თებერვალი

ატლანტა 123:117 საკრამენტო

ატლანტა: ბიბი (24 ქულა, 12 პასი), ჯონსონი (26), ვესტი (7), სმიტი (14 ქულა, 10 მოხსნა), ჰორფორდი (16 ქულა, 14 მოხსნა); ჩილდრესი (25), ფაჩულია (17 წუთი, 5 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა), რიჩარდსონი (4), ჯონსი (2), სტუდემაიერი

საკრამენტო: უდრიჰი (25), მარტინი (6), არტესტი (25), მური (10), მილერი (25 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი); გარსია (14), სალმონსი (8), ჰიუისი (4), ჯონსონი (2), უილიამსი, დუბი

ბოსტონი 92:87 კლივლენდი

ბოსტონი: ალენი (22), გარნეტი (18 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა)

კლივლენდი: ჯეიმსი (26), ვესტი (20), შჩერბიაკი (12)

ნიუ ორლეანი 120:103 ფინიქსი

ნიუ ორლეანი: ვესტი (27), პოლი (25 ქულა, 15 პასი, 6 მოხსნა), პარგო (22), სტოიაკოვიჩი (17), ჩანდლერი (12 ქულა, 15 მოხსნა)

ფინიქსი: სტუდემაიერი (32 ქულა, 14 მოხსნა, 4 პასი, 4 დაფარება), ბარბოსა (17), ონილი (15), ბელი (14), ნეში (8 ქულა, 13 პასი)

სიეტლი 96:138 დენვერი

სიეტლი: დურანტი (16), გელაბალე (16), პეტრო (15), გრინი (15)

დენვერი: აივერსონი (31), მარტისი (23), ენტონი (16), კლეიზა (15), სმიტი (14), კარტერი (12 ქულა, 12 პასი), კემბი (12 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება, 4 პასი)

ინდიანა 107:113 ჩიკაგო

ინდიანა: დანლივი (25), დინერი (22), მერფი (19), გრეინჯერი (17)

ჩიკაგო: ჰიუზი (29), დენგი (16), გორდონი (15)

ტორონტო 107:85 მინესოტა

ტორონტო: ბოში (28), ფორდი (16)

მინესოტა: ჯეფერსონი (23), მაკკანტრი (19), ფოი (18)

ნიუ იორკი 113:89 შარლოტი

ნიუ იორკი: რობინსონი (22), კროუფორდი (20), რენდოლფი (18), რიჩარდსონი (17)

შარლოტი: კეროლი (19), ოკაფორი (18 ქულა, 14 მოხსნა)

იუტა 103:95 დეტროიტი

იუტა: ოქური (24), მილსაპი (19), ბუზერი (18 ქულა, 15 მოხსნა), უილიამსი (14 ქულა, 14 პასი)

დეტროიტი: ჰამილტონი (22), ბილაფსი (21)

კლიპერსი 80:82 პორტლენდი

კლიპერსი: მაგეტი (32), ტომასი (21 ქულა, 11 მოხსნა)

პორტლენდი: ჯეკი (21), ვებსტერი (15)

შურისძიებაც ასე უნდა: „საკრამენტო კინგზიდან" „ატლანტა ჰოქსში" გადაბარგებულმა მაიკ ბიბიმ თავის ყოფილ გუნდს შავი დღე აყარა, 25 ქულა ჩაუგდო და თანაგუნდელებსაც 12 პასი ჩამოუწიკწიკა. ერთიც და მეორეც საუკეთესოა მისთვის მიმდინარე სეზონში და ამ მატჩის შემდეგაც ატლანტელებმა გაიღრმავეს ბიბისთან ერთად მომავლის უკეთ მოწყობის რწმენა. კარგია, რომ ჩვენთან მოვიყვანეთ, დღეს მას რომ ვუყურებდი, ვხვდებოდი, რაც აკლდა ჩვენს გუნდს წლების განმავლობაში — ამბობდა ნამატჩევს ახალი გამთამაშებლის გარჯით კმაყოფილი მაიკ ვუდსონი. გუნდის თავკაცის აზრს იზიარებს „ქორების" ლიდერ ჯო ჯონსონით დაწყებული, ამ მატჩის მხილველი რიგითი გულშემატკივრით დამთავრებული ყველა ატლანტელი. თავად ბიბიმ კი თავი მოიმდაბლა, მარტო გამთამაშებელს აბა, რა შეუძლია, ბიჭებს თამაშამდე ვუთხარი, აგრესიულები იყავით და შეტევაში გაიხსენით, მე კი პასებით საჭირო ადგილას მოგართმევთ-მეთქი.

„საკრამენტოს" თავკაცმა რეჯი თეუსმა კი ცხარე ცრემლებით გამოიტირა ბიბი, მაგის ბრალი იყო, რომ საშუალოდ თამაშში 90 ქულის მგროვებელმა მეტოქემ 123 ჩაგვიგდო და პირველ მეოთხედშიც 40 გაგვიკეთაო. ბიბის მეცადინეობით, „ატლანტამ" პირველი კი არა, ოთხივე მეოთხედი სწრაფ ტემპში ჩაათამაშა. მატჩი რომ მთავრდებოდა, მან ზაზა ფაჩულიას ერთი ისეთი პასი გაუჩარხა, დარბაზი გადარია.

და რა ქნეს იმ ბიჭებმა, „საკრამენტომ" ბიბის მაგივრად რომ მიიღო? ენტონი ჯონსონმა 2 ქულა „შეაგროვა", შელდენ უილიამსმა ქულაც ვერ გაახერხა, ლორენცენ რაიტს სათადარიგოთა სკამზე ჩამოეძინა, მეოთხე კი, რომლის სახელიც ამ მახსოვს, საერთოდ არ ყოფილა განაცხადში.

დღის სხვა თამაშებიდან გამოსარჩევია კრის პოლის „ნიუ ორლეანის" მიერ სტივ ნეშის „ფინიქსის" უკვე მეოთხედ ძლევა ამ სეზონში. გამარჯვებულები იმას ოცნებობენ, ნეტა ეგ გუნდი შეგვხვდეს პლეი ოფში პირველ მეტოქედო. ჯეელმა პოლმაც მაგრად შეურყია ასაკოვან ნეშს ლიგის საუკეთესო გამთამაშებლის ტახტი.

ბოსტონში ორი ძლევამოსილი ალმოსავლელის შეტაკებაში კლივლენდელმა ლებრონ ჯეიმსმა 26 ქულა მოიხვეჭა, 5-წლიან კარიერაში ნაკეთები ქულები 10 000-ს გადააჭარბა და ნბა-ს ისტორიაში ამის შემძლე ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა. მისმა გუნდმა კი „ბოსტონთან" მაინც წააგო...

კოტე ყორშია

ძიუდო

ხაბარელი პრაღაში ევროპას ჩამოწერს

ირაკლი ცირეკიძისა და ზურაბ ზვიადაურის კონკურენცია პრაღაში გაგრძელდება

დამდეგ უქმეებზე ჩეხეთში მორიგი მსოფლიოს თასი გაიმართება, სადაც საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით იჭიდავებს. ჩვენებს მხოლოდ 60 კგ წონით კატეგორიაში არ ეყოლებათ წარმომადგენელი. ამ წონის ლიდერი ნესტორ ხერგიანი 66 კგ წონით კატეგორიაში გამოვა. ამავე წონაში ნესტორს მინდია ხომიზური შეუწყველდება. ზაზა კედელაშვილი და ზურაბ დილებაშვილი 73 კგ წონით კატეგორიაში იჭიდავებენ. შეგახსენებთ, რომ კედელაშვილის და ხერგიანის მათთვის უჩვეულო წონებში გამოსვლა ფიზიკურ კონდიციების და ზედმეტი წონის პრობლემებთანაა დაკავშირებული.

81 კგ-ში გიორგი ბაინდურაშვილი და საბა გავაშელიშვილი დაიცავენ საქართველოს ღირსებას. მათ შორის ნაკრების პირველ ნომრობაზე უმწვავესი კონკურენციაა გაჩაღებული. ბაინდურაშვილის ბოლოდროინდელი მონაგარი პარიზის მსოფლიოს სუპერთასის ვერცხლის მედალი გახლავთ, ხოლო გავაშელიშვილს პრაღის მსოფლიოს თასზე ადრე ვერცხლი მოუპოვებია.

90 კგ-ში შოთა ხაბარელმა ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს ჩემპიონს შორის უნდა გააკეთოს არჩევანი. ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზურაბ ზვიადაურსა და ირაკლი ცირეკიძეზეა. ორივეს დამსახურებული პრეტენზია აქვს ნაკრების პირველ ნომრობაზე. ნებისმიერ ტურნირზე მათ ასპარეზობას ყველა „გამადიდებელი შუშით" აკვირდება. ხაბარელიც მათ შანსს აძლევს და ამბობს, ჰა ბურთი და ჰა მოედანი, ვინც ოლიმპიადამდე დარჩენილ შეჯიბრებებში თავს გამოიჩენს, პეკინშიც იმას წავიყვანო.

100 კილოგრამიან ლევან ჟორჟოლიანს კი მყარად უპყრია ოლიმპიადის საგზური. მოკლედ, ლიცენზიაც თავად მოუპოვებია, მსოფლიოს რეიტინგშიც მეხუთე ადგილზეა და ნაკრებშიც მისი დამჯაბნავი კონკურენტი ჯერჯერობით არ ჩანს. ლევანს თავი ქუდში აქვს და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე უწევს ამ მსოფლიოს თასზე ჭიდაობა.

ლაშა გუჯეჯიანი იძულებითი უქმობის შემდეგ უბრუნდება ტატამს. იგი მძიმე წონაში გაირჯება.

11-13 აპრილს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატი იმართება. საქართველოს ნაკრები საპორტუგალიოდ ჩეხეთის ტურნირის შედეგებიდან გამომდინარე დაკომპლექტდება.

მარტის პირველ რიცხვებში პოლონეთში ქალთა მსოფლიოს თასიც ჩატარდება. ქართველი მანდილოსნები მხოლოდ 57 და 63 კგ წონით კატეგორიებში გამოვლენ. 57 კგ-ში ლუიზა ფევაძეს, ხოლო 63 კგ-ში თინათინ ქულუსაშვილს იხილავს პოლონელი მაყურებელი.

ზურაბ მიგრიაული

ჭიდაობა

მსოფლიოს თასს ნოზაძე დააკლდა

მანუჩარ კვირკველია

გუშინ უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში მსოფლიოს თასის გათამაშება დაიწყო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის. ანტიკოსები ჯერ გუნდურ პირველობას გაითამაშებენ და მერე ინდივიდუალურს. ნაკრებებს შორის ერთმანეთს რეიტინგის მიხედვით საუკეთესოები და მასპინძელი უნგრეთი გაეჯიბრებიან. მსოფლიოს რეიტინგს ჩვენი ნაკრები უდგას სათავეში და მერე რუსეთი, ირანი, აშშ და კორეა მოდიან.

პირველ დღეს ნაკრებები ჯგუფურ ეტაპს მოილევენ და დღეს ფინალური დაპირისპირებები შედგება. საქართველოს ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ უნგრეთში თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა იახლა. ერთადერთი დანაკლისი მსოფლიოს ჩემპიონი რამაზ ნოზაძეა (96კგ). სომბათჰეიში ქვეყნის ღირსებას ეს თორმეტი მოჭიდავე დაიცავს — ლაშა გოგიტაძე (55კგ), რევაზ ლაშხი, დავით ბედინაძე (60კგ), მუხრან მაჭუტაძე, ლაშა ლომაძე (66კგ), მანუჩარ კვირკველია, შმაგი გულიაშვილი (74კგ), ვლადიმერ გეგეშიძე, ბადრი ხასაია (84კგ), გია მორჩილაძე (96კგ), რევაზ ჭელიძე, გურამ ფერსელიძე (120კგ).

ლექსო მაისურაძე

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

27 თებერვალი

ბუფალო 6:4 ნეშვილი

2:0 4:3 2:1

1:0 ბერნიე (5), 2:0 ბერნიე (15), 3:0 პაიე (23), 3:1 ჰლავაჩი (23), 3:2 არნოტი (24), 4:2 პიტერსი (25), 4:3 არნოტი (28), 5:3 პომინვილი (35), 6:3 როი (38), 6:4 ლეგვანდი (44), 7:4 კონოლი (48), 8:4 კოტალიკი (54)

კოლუმბუსი 2:4 სან ხოსე

1:1 1:3 0:0

0:1 ჩიჩუ (8), 1:1 ვიბორნი (15), 2:1 ვიბორნი (28), 2:2 მიტჩელი (31), 2:3 რენიკი (34), 2:4 პაველსკი (39)

ტამპა 2:3 მინესოტა

0:0 1:2 1:1

0:1 ფედორაკი (24), 0:2 დემიტრა (25), 1:2 გულე (33), 1:3 როლსტონი (42), 2:3 ჰალპერნი (50)

ფლორიდა 3:4 ტორონტო

2:0 0:1 1:2 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 კალიმორი (10), 2:0 მაკლინი (18), 2:1 უილიამსი (27), 2:2 სუნდინი (43), 3:2 ოლეში (52), 3:3 სუნდინი (59)

ჩიკაგო 1:0 ფინიქსი

1:0 0:0 0:0

1:0 უილიამსი (8)

ვანკუვერი 2:3 კოლორადო

0:0 1:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 რეიმონდი (29), 1:1 ბრიუნე (39), 1:1 ბაროუზი (59), 2:2 საკიკი (60)

კრივი

მაიკ ტაისონის და ევანდერ ჰოლიფილდის ის ძველი ჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბსურდის თეატრი

აი, ესლა აკლდა მძიმე წონას — პენსიონერთა ჯახი. რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ პროფესიული კრივის ეს ერთ დროს ყველაზე პრესტიჟული წონა გადაშენების ზღვარზეა, რადგან იქ არც ერთი ხეირიანი მებრძოლი აღარ დარჩა. ამიტომაც იქ ტაქტიკურად შეიძლება კარგად მომზადებული, მაგრამ მეტი არაფრით გამორჩეული პოსტსაბჭოელი მოკრივეები ბატონობენ, რომელთა ბრძოლებიც სულ უფრო უხიაგი საცქერი ხდება და მაყურებელიც ნელ-ნელა გულს იცრუებს ამ წონაზე. კაპიტალიზმის კანონი კი ასეთია — ის, რაც არ იყიდება, არსებობას წყვეტს. ჰოდა, მძიმე წონასაც მალე ალბათ წითელ წიგნში შეიტანენ.

ამიტომაცაა პროფესიულ კრივში არსებული უამრავი ასოციაციისა თუ ორგანიზაციის მესვეურები უკვე პანიკაში რომ არიან და მაყურებელთა უკან მოსაზიდად ყველაფერზე წავლენ. თუმც ის, რასაც ახლა აპირებენ, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ლაპარაკია ევანდერ ჰოლიფილდისა და მაიკ ტაისონს შორის ბრძოლის გამართვაზე.

დიახ, რინგზე უკვე ვეტერანებს ეპატიჟებიან — 45 წლის ჰოლიფილდსა და 41 წლის ტაისონს. ერთიცა და მეორეც კრივიდან ოფიციალურად წავიდნენ (თანაც არაერთხელ) — 2000-იან წლებში მათ რამდენჯერმე სცადეს რინგზე დაბრუნება, მაგრამ წარუმატებლად. ამიტომაც ტაისონმა 2005-ში თქვა, საბოლოოდ წავედი, რადგან სპორტული ჟინი აღარ შემომრჩაო. ჰოლიფილდი კი შარშან ოქტომბერში სულტან იბრაგიმოვთან წაგების შემდეგ გამოეთხოვა მაყურებელს. ჰოდა, ახლა პენსიაზე გასულ მოკრივეებს ისევ რინგზე ეპატიჟებიან.

შეგახსენებთ, რომ ჰოლიფილდმა და ტაისონმა 1996-97 წლებში ორჯერ იჩხუბეს და ორჯერვე ევანდერმა მოიგო. მათი მეორე ჯახი კი საერთოდ ოდიოზური გამოდგა და ისტორიაში სამუდამოდ დაიკავებს ადგილს — ტაისონმა მაშინ ხომ ყური მოაჭამა ჰოლიფილდს.

ამ ბრძოლის გამართვის იდეა თავიდან ჰოლიფილდსაც ხუმრობად მიუღია, მაგრამ ხომ იცით, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო და ექსჩემპიონმაც განაცხადა, კარგ საპრიზოს თუ შემპირდებიან, ჩემი თავი შემოგევლოთო:

„ტაისონის სახელით მწვრთნელი ჯეფ ფენეკი დამიკავშირდა და მასთან ბრძოლა შემომთავაზა. თავიდან ვიუარე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. ოღონდ ეგაა, თუ ეს ბრძოლა შედგა, ვიცი, კრიტიკის ქარცეცხლი დამატყდება თავს და ამიტომ ამაზე წასასვლელად კარგი ჯილდო მჭირდება — თუ საკმარისი ფული შემომთავაზეს, დავთანხმდები" — ჰოლიფილდის ამ კომენტარზე მსჯელობა თქვენთვის მოგვინდვია.

ეს ყველაფერი მართლაც რომ აბსურდის თეატრს ემსგავსება.

მეორეს მხრივ კი, გასულ უქმეებზე ვლადიმირ კლიჩკოსა და სულტან იბრაგიმოვის წვალების შემყურეთ, ეგებ, ჰოლიფილდ — ტაისონის ბრძოლის იდეა არცთუ სულელურად ჟღერდეს — ყოველ შემთხვევაში, მათ თავიანთი ჩრდილის მაინც არ ეშინიათ.

კახა ლომაშვილი

პეკინის ბოლო შანსი ათენშია

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა პესკარას საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი წარუმატებლად დაასრულა. 8 ქართველი მოკრივიდან პირველი წრის დაძლევა ორმა — ნიკოლოზ იზორიამ (54 კგ) და კახა ჟვანიამ (69 კგ) შეძლო. მათ მომდევნო ორთაბრძოლებიც სათავისოდ ჩაამთავრეს და მეოთხედფინალში გავიდნენ. გადამწყვეტი სწორედ ეს ეტაპი იყო. თუ ჩვენები ამ ბარიერსაც დაძლევდნენ და ნახევარფინალს უწევდნენ, მაშინ იქ რომც წაეგოთ, კიდევ ერთი შანსი რჩებოდათ ლიცენზიის მოსაპოვებლად, რადგან მათ წონებში ორ მესამეადგილოსანს შორის უკეთესსაც ერგებოდა საგზური. სამწუხაროდ, ორივე მოკრივე დამარცხდა. ნიკოლოზ იზორიამ (54 კგ) გერმანელ რაჰიმოვთან 21:8 წააგო, კახა ჟვანია (69 კგ) კი ინგლისელ სანდერსთან 15:5 დამარცხდა. ახლა ნაკრებს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ერთი შანსიღა რჩება. აპრილის მიწურულს საბერძნეთი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს და თუ ჩვენებს ოლიმპიადაზე გამგზავრება სურთ, იქ აუცილებლად უნდა იყოჩაღონ.

ლექსო მაისურაძე

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ბარსელონაში ყველაზე სწრაფი იარნო ტრულის „ტოიოტა“ იყო

ტესტები დასრულდა, მალე გამოცდები დაიწყება

ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე ახალი სეზონისწინა ბოლო ტესტები დასრულდა. ბუნებრივია, ტესტებზე ნაჩვენები შედეგებით ძნელია, რამე დასკვნების გაკეთება, რადგანაც გუნდების წარმომადგენელთა გარდა არავინ იცის, თუ ვის რამდენი საწვავი უსხია და შესაბამისად, ვინ რა სიმძიმის ბოლიდით დაქრის.

მიუხედავად ამისა, ტესტ-სესიების შემდეგ გარკვეული წარმოდგენა მაინც შეიქმნა 2008 წლის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებზე და თავად გუნდებმაც ერთგვარად შეაჯამეს წინასასეზონო მოსამზადებელი ეტაპი.

ბარსელონური ტესტების ბოლო დღეს, სრულიად მოულოდნელად, ყველაზე სწრაფი „ტოიოტას“ იარნო ტრული იყო, რომელმაც „კატალუნია მონტმელოს“ წუთსა და 20,801 წამში შემოუქროლა და მთელი სამდღიანი სესიის, აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა. მეორე დრო — 1.21,258 — „რედ ბულის“ ვეტერან შოტლანდიელ დევიდ კულტჰარდს ჰქონდა, ხოლო მესამე „უილიამსის“ გერმანელი ნიკო როსბერგი იყო წუთითა და 21,293 წამით. კულტჰარდის ავსტრალიელმა თანაგუნდელმა მარკ ვებერმა მეხუთე შედეგი აჩვენა, ხოლო მის უკან „რენოს“ პილოტები, ბრაზილიელი ნელსონ პიკე უმცროსი და ესპანელი ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო განლაგდნენ.

ფავორიტებმა, „ფერარისა“ და „მაკლარენის“ პილოტებმა ჩრდილში ყოფნა ამჯობინეს. ამათგან საუკეთესო მაკლარენელი ჰეიკი კოვალაინენი იყო დღის მეოთხე შედეგით (1.21,309). მისი თანაგუნდელი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ლუის ჰემილტონი მეათე იყო, ხოლო ფერარელებმა, მსოფლიოს ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა და ფელიპე მასამ, შესაბამისად, მეცხრე და მეცამეტე დრო აჩვენეს.

ამ შედეგებზე უფრო საინტერესო, ალბათ, ის განცხადებებია, რომლებიც გუნდების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ტესტების დასრულების შემდეგ გააკეთეს.

„ფერარის“ ფრანგი თავკაცი, ფორმულა 1-ის დიდოლრაში ჟან ტოდტი აღფრთოვანებულია თავისი გუნდით: „ფერარის“ სისხლში აქვს გამარჯვებები, ასე რომ, წლეულსაც მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. გვაქვს ბრწყინვალე მანქანა და გვყავს პირველხარისხოვანი პილოტები. აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ, რადგანაც მშვენიერი სასტარტო პოზიცია გვიკავია. თუმცა, დაველოდოთ პირველ რბოლებს. იმედია, ყველაფერი რიგზე იქნება“.

ბუნებრივია, ბარსელონური ტესტებით და, განსაკუთრებით, სესიის ბოლო დღეს ნაჩვენები შედეგებით უაღრესად კმაყოფილნი იყვნენ „ტოიოტას“ საჯინიბოში. „ეს კიდევ ერთი შესანიშნავი დღე იყო. ჩვენი პროგრესი აშკარაა და ისიც კარგია, რომ ზრდის პერსპექტივაც გვაქვს“ — განაცხადა იარნო ტრულიმ.

ცოტა გასაკვირია, მაგრამ ბარსელონური ტესტებით კმაყოფილნი დარჩნენ „რენოს“ წარმომადგენლებიც და ეს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ ფერნანდო ალონსომ ბრძანა, ამ ეტაპზე, სადღაც პელოტონის შუაში თუ ვართ და „ფერარისა“ და „მაკლარენს“ კონკურენციას ვერ გავუწევთო.

ფრანგული საჯინიბოს მთავარმა სატესტო ინჟინერმა კრისტიან სილკმა განაცხადა, რომ გუნდმა, ფაქტობრივად, დაასრულა სამზადისი: „ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ახალი სეზონის წინ უნდა გაგვეკეთებინა. ახლა საჭიროა, პირველი დიდი პრიზის წინ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, მანქანა სრულ წესრიგში იყოს. აშკარაა, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს — არის უამრავი ინფორმაცია, რომელიც ანალიზს საჭიროებს და ახლა, სწორედ ამით დავკავდებით“.

ახალი სეზონისთვის მზადება დასრულა „BMW-ზაუბერმაც“ და საყოველთაო კმაყოფილების ფონზე, რაღა გასაკვირია, რომ გერმანული საჯინიბოს პილოტებიც ოპტიმიზმით არიან აღსავსენი. „მას შემდეგ, რაც ახალი F1.08 ტრასაზე გამოჩნდა, შთამბეჭდავი პროგრესი განვიცადეთ. ერთი სული მაქვს, სანამ ჩემპიონატი დაიწყება“ — ბრძანა გერმანელმა ნიკ ჰაიდფელდმა და თანაგუნდელს პოლონელმა რობერტ კუბიცამაც აუბა მხარი: „გუნდში ყველა, როგორც ერთი კაცი, ისე ვმუშაობდით. ვფიქრობ, უკვე ძალიან ძლიერები ვართ და თანაც, ჯერ კიდევ დიდი პოტენციალი გვაქვს“.

ბოლო ტესტებზე მუდმივად საუკეთესოთა შორის იყვნენ „უილიამსის“ პილოტები. სერ ფრენკ უილიამსის გუნდის პროგრესი, მართლაც აშკარაა და ბარსელონაში კაძუკი ნაკაჯიმამაც და ნიკო როსბერგმაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს. იაპონელი ნაკაჯიმა მიიჩნევს, რომ მისი უმთავრესი კონკურენტი, სწორედ მისი თანაგუნდელი იქნება: „ჩემი მთავარი მიზანია, ნიკოზე წინ ვიყო. ეს ბუნებრივია, რადგანაც შენი თანაგუნდელი ერთადერთია, ვისაც შეგიძლია შეედარო — ჩვენ ხომ ორივეს ერთნაირ პირობებში მოგვიხდება რბოლა. თანაც, ეს კონკურენცია იმითაცაა კარგი, რომ ამ რბოლაში ჩვენი შედეგები გაიზრდება და გუნდი წინ წავა“.

დაბოლოს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ლეგენდარულ ფრანგს ალენ პროსტს მოვუსმინოთ, ვინც მიიჩნევს, რომ მაკლარენელი ლუის ჰემილტონი უნიჭიერესი მრბოლია და სეზონის მთავარი ფავორიტი, სწორედ ის გახლავთ: „ის ფენომენალურია, არნახული ტალანტია. შარშან მან დებიუტანტის კვალობაზე რაღაც წარმოუდგენელი შედეგი აჩვენა და თანაც, ეს მისი მაქსიმუმი ნამდვილად არ არის. წარმოიდგინეთ, ახალბედა მრბოლი უკანასკნელ წუთებამდე ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი იყო. მართალია, ის დამარცხდა, მაგრამ მერე რა, თავიდან მეც არაერთხელ დავმარცხებულვარ“.

ქახა ლომაძე

ნორვეგიის ახალი გმირი

მსროლელ მოთხილამურეთა ქარავანმა ევროპიდან აზიაში გადაინაცვლა. კორეულ პიონჩანგში ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპი კაცთა სპრინტით დაიწყო.

ავადმყოფობის გამო კორეაში ვერ ჩავიდა დიადი ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი, ვისაც თასის ეტაპებზე ხუთი გამარჯვებაღა უნდა საიმისოდ, რომ ზამთრის სპორტის სახეობათა აბსოლუტურ რეკორდსმენს, მსოფლიოს თასის ეტაპებზე 86 ტრიუმფის გადამხდელ ლეგენდარულ შვედ სამთომოთხილამურეს ინგემარ სტენმარკს დაეწიოს.

გენერალურ კლასიფიკაციაში ბიორნდალენი შთამბეჭდავი უპირატესობით ლიდერობს და ძნელად, წლეულს მას დიდ ბროლის გლობუსში ვინმე რომ შეეცილოს. თანაც, როგორც ჩანს, ნორვეგიელებს ახალი გმირი გამოუჩნდათ ემილ ჰეგლე სვენდსენის სახით და ის, რომ ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ორი ოქრო შემთხვევით არ იყო, ემილ ჰეგლემ პიონჩანგშიც დაამტკიცა — ოდენ ერთი სამიზნე დატოვა მთელი, თხილამურებით შესაშურად ისრიალა და ნახევარუფროსი ადვილად, ექსტერიერიანი ბრალეულობით იმარჯვა.

მეორე ადგილზეც ნორვეგიელი, ვეტერანი ჰალვარდ ჰანევოლდი გავიდა, რომელმაც წამის სამი მეათედით აჯობა ავსტრიელ ფრიდრიხ პინტერს.

მოულოდნელი იყო რუსთა მარცხი, რომელთაც, როგორც ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაღმასვლა დაეწყოთ. რუსთაგან ათეულში, კერძოდ კი მეცხრე ადგილზე, ერთი ანდრეი პროკუნინი მოხვდა, დანარჩენებმა კი, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ვიცერმა მაქსიმ ჩუდოვმა, საშინელი შედეგები აჩვენეს.

გუშინ კი პიონჩანგში ქალთა სპრინტი იყო და გერმანელმა ვუნდერკინდმა მაგდალენა ნოინერმა ორი არაზუსტი სროლის მიუხედავად, ყველა კონკურენტი უკან მოიტოვა და ამ გამარჯვებით საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე აინაცვლა.

მეორე ფრანგი სადრინ ბაიი იყო და ის გენერალურ კლასიფიკაციაშიც მეორეა და ოდენ ორი ქულითღა ჩამორჩება ლიდერს, კიდევ ერთ გერმანელ ანდრეა ჰენკელს.

ემილ ჰეგლე სვენდსენი

მსოფლიოს თასი. პიონჩანგი. კორეა. 27 თებერვალი-2 მარტი

ჯაცები

სპრინტი. 10 კმ ორი სასროლეთით

1. ემილ ჰეგლე სვენსენი (ნორვეგია)	25 წთ 57,4 წმ (1 აცდენა)
2. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია)	26.27,3 (1)
3. ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია)	26.27,6 (1)
4. დანიელ გრაფი (გერმანია)	26,37,6 (0)
5. ბიორნ ფერი (შვედეთი)	26,41,6 (0)

საერთო ჩათვლა

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია)	735 ქულა
2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი)	577
3. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი)	541
4. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია)	465
5. ბიორნდ ფერი (შვედეთი)	449

ქალები

სპრინტი. 7,5 კმ ორი სასროლეთით

1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია)	20 წთ 32,1 წმ (2 აცდენა)
2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი)	20.46,4 (1)
3. მიქაელა პონცა (იტალია)	20.54,4 (0)
4. ალბინა ახატოვა (რუსეთი)	20.58,9 (1)
5. ტატიანა მოისეევა (რუსეთი)	21.08,1 (1)

საერთო ჩათვლა

1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	590 ქულა
2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი)	588
3. მაგდალენა ნოინერი (გერმანია)	574
4. კატი ვილჰელმი (გერმანია)	544
5. მარტინა გლაგოვი (გერმანია)	532

განკითხვის დღე აკაპულკოში

გუშინდელ ამბებს ისევ დუბაის ქალთა ტურნირიდან დავიწყებთ, მით უმეტეს, რომ მოსაყოლი საკმაოდ ბევრია. თუნდაც ის რად ღირს, რომ აქ უკვე ნახევარფინალისტის ვინაობაა ცნობილი — ტურნირის გადამწყვეტ მატჩში მოსახვედრად ერთმანეთს მეორე და მესამე ნომრები, სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა იანკოვიჩი დაუპირისპრდებიან და წესით, მაგარი ჯახიც უნდა გაიმართოს.

თუმც იქამდე ჟუსტინ ენინზე გეტყვით, რომელსაც მეოთხედფინალი ჯერაც სათამაშო აქვს. ტურნირზე თავისი პირველი შეხვედრა კი მან კატარინა სრებოტიკთან გამართა და მაგრადაც იჯახირა. ჭინკა ბელგიელი წლეულს საკმაოდ მძიმედ გამოიყურება და ნებისმიერ მეჩოგნესთან ბლომად ნერვების წყვეტა უწევს. მოკლედ, ჟუსტინმა ამ სეზონში თავისი თამაში ჯერ კიდევ ვერ იპოვა. აგერ, სრებოტნიკიც მხოლოდ მესამე სეტის შუაწელზე გატეხა და დუბაიში თავისი უნაკლო სტატისტიკა შეინარჩუნა — ბელგიელი აქაურ კორტებზე ჯერაც დაუმარცხებელია. ენინის შემდეგი მეტოქე ფრანჩესკა შიავონე იქნება.

„ძნელი შეხვედრა კი იყო, მაგრამ ასეთი მატჩები ახლა ჰაერივით მჭირდება — სწორედ ამდაგვარ დაძაბულ შეხვედრებში შევძლებ შარშანდელ კონდიციებში შესვლას“ — ოპტიმისტურად არის განწყობილი ენინი.

ჩვენ კი ისევ კუზნეცოვასა და იანკოვიჩს მივუბრუნდეთ, რომლებსაც მთლიანობაში არ გასჭირვებიათ მეოთხედფინალების გავლა. ეს განსაკუთრებით მაინც სერბს ეხება, რომელმაც კორტზე მხოლოდ ნახევარი საათი თუ გაატარა — ანა ჩაკვეტაძეს ტრავმა ჰქონდა, თან დუბაის თაკარა მზემ აშკარად გათანგა და პირველ სეტში განადგურების შემდეგ თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. კუზნეცოვა კი ამელი მორესმოს დამაჯერებლად გაუმკლავდა და წლეულს თავის საუკეთესო შედეგსაც უწია — რუსს წლეულს ნახევარფინალმდე ჯერ არ შეუტოპავს.

პირველ წრეში მომხდარი დიდი მოვლენის, ვინუს უილიამსის მარცხის შემდეგ სიწყნარე იყო მემფისში. თუმც ამერიკელის გამამწარებელ პეტრა კვიტოვას სიხარული არ შეარგეს და მომდევნო შეხვედრაშივე ჩაუშხამეს ხასიათი — ეს მისია საკუთარ თავზე ალა კუდრიავცევამ აიღო. მეოთხედფინალშია ლინდსი დევენპორტიც, რომელიც აქ ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავ, 18 წლის კაროლინ ვოზნიაკის დაეტაკება. გამოცდილებისა და ახალგაზრდული მაქსიმალიზმის ეს დაპირისპირება საკმაოდ დამაინტრიგებელია.

კაცთა ტურნირებიდან კი ყველაზე საინტერესო დღე აკაპულკოში იყო, სადაც განთესილებს უმოწყალოდ დაერივნენ და განკითხვის დღე მოუწყვეს. ბობოლათა ამ რბევას მხოლოდ ერთი — პირველი ნომერი დავიდ ნალბანდიანი გადაურჩა, რომელმაც სანტიაგო ვენტურა ერთ საათში მიჩოგნა და ახლა პოტიტო სტარაჩეს შეეცილება ნახევარფინალის საგზურს.

აი, დანარჩენ ბობოლებს კი ნაკლებად გაუმართლათ, რადგანაც გუშინ მექსიკის ამ ულამაზესი კურორტიდან ერთბაშად დაიფრინეს ტურნირის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრები. აქედან ორი, გილერმო კანასი და ხუან იგნასიო ჩელა თანამემამულეებმა, შესაბამისად, ხოსე აკასუსმა და აგუსტინ კალერიმ დაჩეჩქვეს.

სულ უფრო და უფრო უჭირს სტაბილურად თამაში კარლოს მოიას, რომელსაც ამჯერად ბოლო წლებში ამაზრზენად მოთამაშე ნიკოლას მასუ ორ სეტში მოერია. ხუან მონაკოს კი პერუელი ლუის ჰორნა გაუმკლავდა.

ზაგრებში თავისიანთა ზეობას ელოდებიან — მართალია, პირველ წრეში გაგდებულ ივო კარლოვიჩს გუშინ მარინ ჩილიჩიც მიაყოლეს, მაგრამ, სამაგიეროდ, წინ მიიწევენ ივან ლიუბიჩიჩი და მარიო ანჩიჩი.

დიდი წვალებით შედის ფორმაში ტომი ჰაასი — მხრის ოპერაციის შემდეგ კორტზე არცოუ დიდი ხნის წინ მობრუნებული გერმანელი ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრესირებს, მაგრამ საეჭვოა, ეს აკმაყოფილებდეს. კერძოდ, თუ ტომის ერთი თვის წინ ნებისმიერი შეხვედრის მოგება უჭირდა, ახლა ზედიზედ მეორე კვირაა, თითო მატჩს სტაბილურად იგებს. ეს, რა თქმა უნდა, ირონიაა, რადგანაც ჰაასი ჯერჯერობით ამაზრზენად გამოიყურება და ასე თუ გააგრძელა, მალე ოცეულიდან კი არა, ასეულიდანაც გავარდება.

კახა ლომაია

ქალები
აკაპულკო. მექსიკა. თიხა
საპრიზო 180 000 დოლარი

მეორე წრე

ფლავია პენეტა (1, იტალია) — **ჯულია შრუფი** (გერმანია) 6:2 6:3; **ალიზ კორნე** (2, საფრანგეთი) — **მელისა ტორეს სანდოვალი** (მექსიკა) 6:2 6:0; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — **კლარა ზაკოპალოვა** (3, ჩეხეთი) 6:1 4:6 7:6; **მარია კორიცევა** (უკრაინა) — **სარა ერანი** (5, იტალია) 7:5 6:1; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი) — **ივონ მაისბურგერი** (6, ავსტრია) 6:1 7:5; **ედინა გალოვიცი** (8, რუმინეთი) — **პეტრა ჩეტკოვსკა** (ჩეხეთი) 6:4 6:3; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — **ლურდეს დომინგეს ლინო** (ესპანეთი) 6:7 6:1 6:3; **სორანა კრისტეა** (რუმინეთი) — **ოლივია სანჩესი** (საფრანგეთი) 6:1 7:5

ქალები
დუბაი. საემიროები. ჰარდი
საპრიზო 1 500 000 დოლარი

მეორე წრე

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) 7:5 6:7 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) 6:1 6:2; **ანა ივანოვიჩი** (3, სერბეთი) — **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი) 6:4 6:0; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — **სანია მირზა** (ინდოეთი) 4:6 6:3 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (6, რუსეთი) — **დინარა საფინა** (რუსეთი) 6:7 6:4 6:3; **ელენა დემენტიევა** (8, რუსეთი) — **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) 6:2 6:1; **ფრანჩესკა შიავონე** (იტალია) — **სიბილ ბამერი** (ავსტრია) 6:3 6:2; **ანელი მორესმო** (საფრანგეთი) — **აკიკო მორიგამი** (იაპონია) 4:6 6:1 6:4

ქალები
მემფისი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 დოლარი

მეორე წრე

შაჰარ პირი (3, ისრაელი) — **მელინდა ჩინკი** (უნგრეთი) 6:0 3:6 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — **ევგენია როდინა** (რუსეთი) 6:1 6:1; **კაროლინ ვოზნიაკი** (6, დანია) — **მიჩელ ლაჩერდე ბრიტო** (პორტუგალია) 6:2 6:4; **ეკატერინა ერაკოვიჩი** (ახ. ზელანდია) — **ამბერ ლუ** (აშშ) 7:5 6:3; **ჯულია ჯეგერჯესი** (აშშ) — **პეტრინა მატეკი** (აშშ) 6:4 6:3; **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) — **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) 6:7 7:5 6:1

კაცები
აკაპულკო. მექსიკა. თიხა
საპრიზო 794 000 დოლარი

მეორე წრე

დავიდ ნალბანდიანი (1, არგენტინა) — **სანტიაგო ვენტურა** (ესპანეთი) 6:2 6:3; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) 6:4 6:2; **ლუის ჰორნა** (პერუ) — **ხუან მონაკო** (3, არგენტინა) 7:6 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (6, ესპანეთი) — **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) 6:3 6:3; **პოტიტო სტარაჩე** (8, იტალია) — **პეტერ ლუჯაკი** (ავსტრალია) 6:3 6:3; **მარსელ გრანოლერს პუიოლი** (ესპანეთი) — **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) 6:2 7:6

კაცები
ზაგრები. ხორვატია. ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 370 000 ევრო

მეორე წრე

ივან ლიუბიჩიჩი (1, ხორვატია) — **ლოვრო ზოგკო** (ხორვატია) 6:4 7:6; **რობინ ჰაასი** (ჰოლანდია) — **ჟილ სიმონი** (3, საფრანგეთი) 6:2 6:4; **სიმონე გოლელი** (იტალია) — **მარინ ჩილიჩი** (5, ხორვატია) 6:4 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი** (8, სერბეთი) — **როკო კარანუსიჩი** (ხორვატია) 6:3 6:7 6:4; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **დენის გრიმელმაირი** (გერმანია) 6:3 6:2; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) 6:2 6:4; **თეიმურაზ გაბაშვილი** (რუსეთი) — **რიკ დე ვუსტი** (სამხ. აფრიკა) 7:5 6:1; **სერგეი სტახოვსკი** (უკრაინა) — **ვიქტორ ტროიეკი** (რუსეთი) 7:6 3:6 6:4

კაცები
მემფისი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 769 000 დოლარი

მეორე წრე

ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) — **ტომი ჰაასი** (3, გერმანია) 36 62 75; **რადეკ შტეპანეკი** (4, ჩეხეთი) — **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) 76 26 75

ბოლოს ანამაც წააგო

ამ კვირის ტურნირებზე მოთამაშე ქართველი ჩოგბურთელებიდან რამე წარმატებას ვერც ერთმა ვერ მიაღწია. სოფო ქაცაბაიამ და ოქსანა კალაშნიკოვამ, შესაბამისად, ესპანეთსა და გერმანიაში მიმდინარე პატარა ტურნირების საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლიეს, ხოლო ანა ტატიშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ ვუტონის ჰარდზე მიმდინარე 25-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპი კი გაიარა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

ძირითადი ბადის პირველ წრეში ანას მეტოქედ მე-5 ნომრად განთესილი კორეელი, 20 წლისა და WTA-ს რეიტინგში 212-ე ადგილზე მყოფი ი რა ლი იყო, რომელმაც ქართველს იოლად — 6:4 6:4 მოუგო.

ჭერქვეშა კომერცია

ჭერქვეშა სამძლეოსნო ტურნირების მიმართ ინტერესი რომ იზრდება, ამაზე მომატებული საპრიზო ფონდებიც მეტყველებს. სირბილი, ხტუნვა, კვრა... ეს ყველაფერი დარბაზშიც შეიძლება აკეთოს ადამიანმა და თუ კარგად აკეთებს, კარგი ჰონორარიც მიიღოს.

7-9 მარტს ესპანეთის ქალაქ-მარგალიტ ვალენსიაში მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი ტარდება და ორგანიზატორებმა ახლა გამოაცხადეს საპრიზო ფონდის რაოდენობა, რომელიც დაახლოებით 2,5 მილიონ დოლარს შეადგენს. 20 წლის წინ ასეთი ფული ჭერქვეშა კი არა, ნამდვილ მსოფლიოს ჩემპიონატებზეც არ იხარჯებოდა. მოკლედ, კომერცია ხმაურობს ყველა სფეროში, ყველა დალაგებულ ქვეყანაში.

ვალენსიაში ოქროს მედლის მომგები მძლეოსანი საპრიზო ფონდიდან 40 ათას დოლარს მიიღებს, ვერცხლის მომპოვებელს 20 ათასი შეხვდება, ბრინჯაოს პრიზიორს კი 10 ათასი დაუჯდება ანგარიშზე. ორგანიზატორები ფულით ანუგეშებენ მედლებთან ახლომდგომ, მაგრამ სამეულში ვერმოხვედრილებსაც — მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები შესაბამისად 8, 6 და 4 ათასად ფასობს.

ზუსტად იგივე თანხებს მიიღებენ წარმატებული საესტაფეტო გუნდებიც, ოღონდ, მაგალითად ოქროსთვის მიღებულ 40 ათასს მთელი გუნდი, ანუ 4 კაცი გაიყოფს.

კარგი ფული ღირს მსოფლიო რეკორდიც: იმ შედეგში, რომელიც მანამდე დარბაზებში არავის დაუმყარებია, ტურნირის შეფები 50 ათას დოლარს გამოდიან.

კოტე ყორშია

ბარის თხილამურობა

მსოფლიოს თასი. სტოკჰოლმი. შვედეთი. 27 თებერვალი

კაცები

სპრინტი. 1 კმ კლასიკური

1. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია); 2. ბიორე ნიესი (ნორვეგია); 3. ემილ იონსონი (შვედეთი); 4. ეიდარ რონინგი (ნორვეგია); 5. სირილ მირანდა (საფრანგეთი)

საერთო ჩათვლა

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	1096 ქულა
2. რენე ზომერფელდი (გერმანია)	688
3. ტორ არნე ეტლანდი (ნორვეგია)	615
4. აქსელ ტაიხმანი (გერმანია)	538
5. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია)	516

ქალები

სპრინტი. 1 კმ კლასიკური

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი); 2. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია); 3. მადოკა ნაცუმი (იაპონია); 4. აინო კაისა საარინენი (ფინეთი); 5. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)

საერთო ჩათვლა

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	1101
2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)	1015
3. შარლოტა კალა (შვედეთი)	901
4. ჟუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი)	841
5. არიანა ფოლისი (იტალია)	783

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ბიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00